

37652

ქარებულე ერთეულე II როგორც სამართლებრივი
(სტორიული მონოგრაფია)



შრეკლე, მეფე ქართლ-კახეთისა, თვით პუნქტით იყო იმისთანა
მაღალი ნიჭით შემყული შედებით მთავარი, როგორიც არიან
ძელი დროის კართავინელთ სარდალი ჰანიბალი, კარლოს
XII, გუსტავ-ალფოსი, შეეცის მეფენი, ლაფაიეტი, საფრანგეთის
ნაციონალური გვარდიის წინამძღვალი, ჯუზეპე გარიბალდი, სა-
ხელ-გათაშული იუალიელი გმირი და ბეერი სხვა... კარგად
მოგეხსენებათ, რომ ყოველი კაცის ნიჭი, ერთის მხრით მიემგზა-
ვსება მცენარის თესლისა; როგორც ეს უკანასკნელი მოიტანს
ჩოლმე ღირსეული ნაყოფს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი და-
თესილია ნოუიერ და მდიდარ ნიაღაზე, ისე ადამიანის ნიჭიც
მოითხოვს იმისთანა სარბიელს და საასპარეზო მოედანს, რომე-
ლზედაც შესაძლებელი იქნება მისა ვარჯიშობა, განვითარება,
მისი დამწიფებება და გადიდება. პოველს კაუმბრიობის გენიოს-
სა ჰქონია ამ გვარი საასპარეზო მოედანი; უმეტესად ყოველს
მათგანს ისტორიული გარემოებანი თითქო საგანგებოდ აძლევ-
დენ საშუალებას მათი წიგის განსავითარებლად. იგივე ითქმის
სამხედრო გენიოსებზედ; ყოველს მათგანს ჰქონია თავისი სამ-
ხედრო სკოლა, რომლის შემწეობით იგინი სწავლობდნენ სამ-
ხედრო საქმის აქა და კარგა. მაგალითად ძეველი დროის ჩინ-
ბული სარდალი ჰანიბალი სიყრმიდებანე გადიქა იმ დაუცხრო-
მელ რომაელების მტრად, რომლის უმთავრესი მიზანი იყო
რომაელთა მუდმივი დამონავება. იგი ალიშარდა ისპანიაში; მრა-

ეალ—გვარ ომებში და ბრძოლაში მისი სამხედრო ნიჭი სრულიად განვითარდა; იგი გახდა მთაერად დიდის ჯარისა და შეინუბდება მას თავისი აღთქმითი მიზნის აღსასრულებლად . . .

თეითონ ნაპოლეონ I-ის სამხედრო სკოლა გახდა ეგვიპტეს ნიადაგი, რომელზედაც მას ჰქონდა დიდი და საშინელი ბრძოლა სელჯუკებთან. სწორედ ამ დროს ნაპოლეონმა შეისწავლა ზედ-მიწერნით სამხედრო საქმეების სხვა და სხეა ნაირი მანქანებანი. საფრანგეთის პირველი რევოლუციის სარდალმა ლაფა-იეტმა პირველად თავისი სამხედრო ნიჭი გამოიჩინა ჩრდილოეთ ამე-რიკის ნიადაგზე, იმ დროს, როცა შტატები ებრძოდნ ინგლისსა თავის დამოუკიდებლობის დასაცველად . . .

როგორ განვითარდა მეფე ერეკლე II-ის სამხედრო ნიჭი, სად შეისწავლა მან სამხედრო ხელოვნება, სად იყო მისი სამ-ხედრო სკოლა,—პასუხი ყველა ამ გვარ კითხვებზე შეადგენს ჩემის ისტორიულის მონოგრაფიის შინაარსსა.

I.

ზადავათვალიშროთ ცხოვრება მეფე ერეკლე II-ისა, რომ-ლის სახელს, ეჭვი არ არის, მსოფლიო ისტორია ჩასწერს „, კა-ცობრიობის ნიჭიერ სარდალთ სიში “. ერეკლე II იყო შეიძლი თეომურაზ მეორისა, რომელსაც ცოლად ჰყავდა ვახტანგ VI-ის ქალი თამარი. ამ უკანასკნელმა, საფრანგეთის მოგზაურის პე-სონელის სიტყვით, შესძინა საქართველოს ერეკლე—ის მეფე, რომლის ბედმა მე XVIII ს. მთელი ევროპა აალაპარაკა, ის გამოჩენილი გმირი, რომელიც შექმნილა თავის საყდრელ საშობლოს განსაღიდებლად. შოველი იმ დროის ქართველი ფიქ-რობდა ერეკლეს მომავალს დიდებაზე. თეით მამა ერეკლესი

თეიმურაზი, მოხუცებული და დაგეირგვინებული ნიჭიერის სარ-
დლის სახელით, უკანასკნელ წლებში გამოდიოდა ომში თავის



ფინ
უქ-
არ-
ავ-
ოი-
ეკ-
ვი-
რდ-
ით,
ეკი-
აშე
ეკი-
ოთ-
ლა-
არს
ამა-
ოთ-
უკი-
რა-
ვარ
“.
უსს
ეგეს
არ
ერს

თეიმურაზი, მოხუცებული და დაგვირგვინებული ნიჭიერის სარდლის სახელით, უკანასკნელ წლებში გამოდიოდა ომში თავის შეიღლის წინამძღვრობით და არ ირცხვნდა იმის ხელ-ქვეით ყოფნას და მოადგილობას. მე-XVIII ს. საუკუნეში მყოფნი საქართველოში უცხოეთელნი, როგორც, მაგალითად; დოქტორი იაკოფ რაინძესი, რუსთის პოლკოვნიკი ბურნაშევი სამართლიანად აგვიწერენ ერეკლეს გამოჩენილს სამხედრო თვისებას; ამ უკანასკნელების თქმით, „ ერეკლე აკვირვებდა ადამიანს სულიერი მხნეობით, დიდი მამაკანით და გასაოცარი უშიშრობით, ყ. მხოლოდ ეს მწერალ-მოგზაურნი შეცდომით ამტკიცებენ, ვითომ ამ გვარი თვისებანი შეაღენენ მხოლოდ აზიელის სარდლის სამკაულს. ამ ნაირი შეცდომის მიზეზი, ჩემის აზრით, არის დაუფიქრებლობა; მათგან დასახელებული სამხედრო თვისებანი ერეკლე II სანატრელია ყოველი სარდლისათვის, აზიაში იქნება იგი, თუ ეკროპაში. რომ ეს მართ ალია, ამას გვიმტკიცებს ირიც ისტორიული მაგალითი. ერეკლე მეორეს, როგორც სამხედრო გრიოსსა, იცნობდა თვით ჩინებული სარდალი გერმანის მეფე ფრიდრიხს დიდი, რომელიც თავის ჯარს ბრძოლის ველზედ არა ერთხელ აგულადებდა ერეკლეს მამაკანის მაგალითებით. „, იბრძოლეთ იმ გვარად, როგორც გიორგიანთ შეფე ერეკლეს ივერნიო. “ საყურადღებოა აგრეთვე ფრიდრიხს გულწრფელი აზრი, რომლით იგი აფასებს როგორც თავის სამხედრო სიღიადეს ისე ერეკლე მეორისას: „, მე ვარ ეკროპაში უძლეველი, აზიაში კი— ერეკლე, მეფე ივერნიისაო“.

შარსულის საუკუნის გამოჩენილს დრამატურგს და კრიტიკოსს ლესსინგს ერთს თავის დრამატიულს თანამედროვებაში გამოჰყავს გერმანელი ჯარის კაცი, სახელად ვერნერი; ეს ჯარის კაცი არ არის კმაყოფილი თავის მდგომარეობით და გულითა ჰსურს

რომას ივერიელთა მეფე ერეკლეს დროშის ქვეშ. მს დრამატიული თხზულება დაიბეჭდა 1763 წ. (Minna von Barnhelm oder der Soldatenglück. Lessings.) აი ფრიად საინტერესო სურათი ამ თხზულებისა: მრთი მოქმედი პირი ვერნერი ჰკითხავს მეგობარს იუსტს: „ოუსტ! შენ უჟეველად გაგონილი გექნება მეფე ერეკლეს სახელი.

იუსტი. — ერეკლესი? ... მე არა გამიგიარა.

- დაეიჯერო, რომ შენ არ იცნობ აღმოსავლეთის წარჩინენებულ გმირსა?
- მე კარგად ვიცი, რომ აღმოსავლეთის მოგვნი ვარსკულავს მისდევდნენ.
- ძმაო, მე მგონია, რომ შენ ძალიან ცოტას კითხულობ გაზეთებს, როგორიათაც დაბადებას. ნუ თუ შენ არ იცი, ვინ არის მეფე ერეკლე? დაეიჯერო შენთვის უცნობია ის მამაცი და გულადი გმირი, რომელმაც სპარსეთი დაიპყრო და დღეს თუ ხეალ კიდეც გააღებს ოტომანის იმპერიის ალაყაფის კარგება . . . მაღლობა ღმერთსა, რომ კიდევ ყოფილა სადმე ომიანობა. მე დიდი იმედი მქონდა, რომ ჩვენ შორის, ეკროპაში, მოხდებოდა ომი; მაგრამ ჩვენები მიყრუებულნი სხედან თავიანთ ქრემში. არა, მე ვიყავი ჯარის კაცად და ამ სახელს სიკედილა-მდინ დავიცვავ. მრთის სიტყვით . . . მე უჟეველად უნდა ვიომო მის დიდებულების მეფის ერეკლეს წინამდებლობის ქვეშ . . .

რა მოწიწებით და აღტაცებით იხსენიებს მეფე ერეკლეს სახელს გერმანელი ჯარის კაცი! ერეკლეს საშედრო გენიოსობის სხიერა მიაღწია ცხრა მთას იქთ მდებიარე განათლებულს ქვეყანას და იქ გამოიწვია გულითადი თანაფრიძობა. ჩვენთვის

ადეილი წარმოსადგენია ის პატივისცემა, რომელიც ერეკლემ მოიხექა თვით აზიაში. აქ, ყველანი ერეკლეს მოქმედებით და საქმით ჩრდილებოდენ მის სიღიადეში. შეეკლეს თანამედროვენი, როგორც მოწინააღმდეგენი, ისე თანომოზიარე მეგობრებიც, დიდად პატივს სცემდენ მის სამხედრო ბუნებრივს ნიჭსა. მს დიდებული სარდალი თავის დროზე იყო სამართლიანად დაფასებული. საზოგადოდ ერეკლეს უწოდებდენ „, მცირე აზიის ლომად.“ როდესაც ოტომანის იმპერიის ხელისუფალი შემოსჩიულა სპარსეთის პატრონს ქარიმ-ხანს, რომ „, აღვიშვია ერთი ლომი—საქართველოს ვალი ერეკლე, რომელიც აოხრებს სამფლობელოსა ჩემსა, რის გამო იხარჯეს არა მცირედი ხაზინანი და აზიტომაც უნდა დააყენოთ იგი ესე ვითარის ძლიერებისაგან“ — ერანის შაჰია ასე შეამკო მეფე ერეკლე: „, შეხედეთ მეფეს ერეკლეს, ახლა მე ის როგორ არ უნდა მიყვარდეს; რაც ჩემთვის უმსახურნია, იმას გარდა ეს უმეტესი ჩემი დიდება არის; ერეკლემ ხოლო დააჩოქა და ჩემთან აჩივლებს, ამისთანა კაცი დიდად პატივსაცემელი არის . . .“

რა საშუალებით გაითქვა მეფე ერეკლემ დიდებული და ნიკიერის სარდლის სახელი? — გასაოცარი გამბედაობა, არა ჩეეულებრივი თავგანწირულება, მტერზედ პირდაპირი მსელელობა, ამასთანავე მოძრაობის და მოსაზრების სისწრაფე ომის დროს — აი, ჩემის აზრით, ერეკლეს უპირატესი საშედრო თეოსებანი. შეეკლე მეორე მიმაჩნია იმ პირელ-ხარისხოვან სარდლად, რომლის ბაზალს ყოველი ისტორიული ერი ორიოდ-სამიოდეს წარმოგვიდგენს. მართლადაც, რითი მოიხექებს სამხედრო სახელი კაცობრიობის გამოჩენილმა სარდლებმა, თუ არ თავიანთი სიჩამაცით და იმ გულადობით, რომელიც უარყოფს ბრძოლის დროს მშიშარა ყოყვანობას და გაუბედაობას. მს სარდალნი

პირდაპირის და უშიშარის თვალით შესკეროლნენ განძვინებულს
მტერსა; საშინელი და თაეზარ-დამცემი განსაცდელი მათ
არ უმღვრედათ თვალებსა; შემცულნი სამხედრო მჭერეტელო-
ბის ნიჭით, რის გამო მათ წინათვე ჰქონდათ ხოლმე აწონ-
დაწონილი მტრის მდგომარეობა და მისი ძალლონე—ეს სა-
ხელგათქმული სარდლები გაჭირების დროს ხელმძღვანელობდენ
თავისი გონიერი მოსაზრებით, რომელიც მახვილივით სჭრიდა
ბრძოლის დახლართულს ნასკვა. დასასრულ ეს მხედართ მთა-
ვარნი მომეტებულად იყვნენ ნამდეილნი მჭერ-მეტყველნი,
რომელნიც გულ-საკლავ-და გრძნობით საესე სიტყვით ჯარს
გაიტაცებდნენ ხომლე საომრად: საქართველოს მეფე ერეკლე
თეით ბუნებამ შეამკო ამ დიდებული სარდლების თვისებებით;
მხოლოდ ერეკლემ თავისი სამხედრო ნიჭი მრავალ-ხნოვან და
ღრმა გამოცდილებით უმაღლეს წერტილამდე განაეითარა.

სახოვადოდ გულ-კეთილი და მეტადრე საკუთარ თვალშიარი
ჩეილი ხასიათის მექონე კაცი—ერეკლე მეორე ბრძოლის ველზე
იყო ერთი რამ საკირველება. ზოველი ბრძოლის დაწყების წინ,
ერეკლე, როგორც დათის მოყვარული, ლოცვას შეუდგებოდა
ხოლმე:—“კემმარიტო ღმერთო ძლიერო! შენ იხსენ საქართვე-
ლოს ერი, მრავალჯერ წამებული მამულისათვის და იმედ-ჰყავ,
რომ სამშობლო დანგრეული კვლავ აყვავდება.”—ლოცვის გა-
თავების უმაღ ერეკლე შემოაფრინდებოდა ხოლმე ცხენს, ალ-
ჰურვილი მშვენიერი საბჯროთა იარაღითა და რომ გენახათ
ერეკლე თანამედროვე მწერლის პაპუნა რაბელიანის სიტყვით,
ბრძანებდით: „კაცისაგან ამას არა რა დაეგვარებაო“.

მეუე ერეკლე—ეს შეათანა ტანის კაცი, ფრთობ ფიცი ხა-
სიათისა, არწივისებურის თვალებით, ომის როოს თავის ჯარი-

სათეის იყო სწორედ სული და გული. ამ შემთხვევაში იგი გადი-
ქცევოდა სოლვე იმ შესანიშნავ არსებად, რომლის სიტყვა საში-
ნელი ელექტრონული ძალა და რომელსაც განუჩეებად
დიდი თუ პატარა, უფროსი თუ უმცროსი, მოხუცი თუ ახალ-
გაზღადა მონებენ. ბრძოლის ველზედ ერეკლე მეფე აკეირვებს
ადამიანს თავისი უცები გონიერი მოსაზრებით; მას შეეძლო
ერთ წამში ათას გვარი კომბინაცია მოვეონებინა; მისი, ეგრედ
წოდებული, “*impetus ingenii*” იყო არა ჩეულებრივი; მისი
შემოქმედებითი ნიჭი ღირს შესანიშნავია. მართველები ამბობდენ.
რომ ერეკლე ომში დასწრებით ქართველს ჯარს ფრთხებს
შეასხამდა ხოლმეო: „, ჩენი ბატონი ერეკლე მოგვიეიდა, ახ-
ლა იმის საკეირველს გონებას რა გაუმავრდებაო „, ამბობდა
გათამამებული ჯარი. ბევრჯელ დახლართეიათ ქართველებს
ბრძოლის კვანძი, მაგრამ მეფე ერეკლე მას ღირსეულად სკრი-
და თავისი ძლევა-მოსილი მახვილათა; ეს მახვილი—უცები და
მოულალნელი გონიერი მოსაზრება. ერეკლეს ზოგიერთი მოქ-
მედება ბრძოლის ველზედ სწორედ რომ შთავონებაა ზეციური
გენიოსისა.

1770 წელს, ერეკლე მეფე, დაიმედოვნებული რუსეთის სამხე-
დრო შემწეობით, ემზადებოდა ოსმალ—ლეკებთან საომრად.
რუსეთის მთავრობამ საქართველოში გამოიგზავნა 6,000 ჯარის
კაცი გენერალ ტოტლებენის წინამძლოლობით. მეღვე ერეკლე
მიეგება რუსეთის ჯარსა კავკაცის გზაზედ, სოფელ კობში. აქ,
როგორც მოითხოვდა რიგი, ერეკლემ და ტოტლებენმა დასდევს
პირშეკრულობა, რომ ერთად ემოქმედნათ მტრის წინააღმდეგ.
საასპარეზო მოედნად ახალიცის მაზრა იყო ამორჩეული. სხე-
თაშორის ერეკლეს დაპირიდა 5,000 ჯარის კაცსა იმერეთის
მეფე სოლომონ I. ამის გამო ერეკლე მეუეს წინადვე ჰქონდა

გადაწყვეტილი, რომ დიდი გამარჯვება დამრჩება და ოსმალინი დამარცხდებიანი. მაგრამ, დახეთ ერეკლეს ბედსა! სოლომონი სრულებით არ მოვიდა მცერთან საბრძოლად და თავის სოტი-
ვას გადუდგა; ამისთანავე შოუვიდათ უსიამოვნობა მეფეს და ტოტლეპენისა, რომელმაც ერეკლეს შესწავა აზრები რუსეთის წინააღმდეგ. ამ გენერალმა, აწყურთან ბრძოლის გათავების უმაღლ, მოულოდნელად თავი დაანება ქართველებს და საჩქაროდ იმე-
რეთისაკენ გაემგზავრა. სხვათაშორის აი რას ეუბნებოდა მეფე ერეკლე გენერალსა: „, რატომ არ შეგიძლიან დაბრუნება და ერთად სისხლის ღერა, მაშინ რიცდვებაც თქვენის გულისათვას არის ოსმალო ჩემი მოსისხლე მტერი, თორებ ისმალოს ჩემთან რა მტრობა აქვს? — ვინც რუსეთიდებან მოდიან ეკატერინე ხელ-
შწიფისაგან დიდის დაპირებით მეუბნებიან: დიდს წყალობას და-
ლოდეთ ეკატერინესაგან და ამასთან უთქვამთ, ქრისტიანო-
ბის და ჩევნის საჩუმუნოების გულისათვის უნდა გაეისარიჯნეთო.
აშა, ესეცა ქრისტიანობის გულისთვის მოესულვართ. აქ და ხე-
ლავთ ჩემი ქართველები როგორს ომში არიან დავს “

,, თქვენი დიდებულებავ — უპასუხა გენერალ ტოტლეპენმა —
მომიტევეთ, რომ ჩემის ხელმწიფის ბრძნების ძალით ეხლავ უნდა
გავტრიალდე და საჩქაროდ წავიდე; დაგვიანება არ შემიძლიან“

მამულის სიყეარულით გატაცებულმა ერეკლემ, რომელ-
საც თვალ-წინ წარმოუდება საშინელი განსაკუდელი ქვეყნისა,
ერიცხმბაა მტერი გაიმარჯვებდა, დაივიწყა თავისი მაღალი ღირ-
სება „საქართველოს მეფისა“, დაიმცირა თავი და ერთის მუხ-
ლით დაუზიქა უბრალო გენერალს და სთხოვდა მას დიდის
ვეზრებით დაბრუნებულიყო.. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო.
პირვეული გენერალი მხოლოდ ბოდიშს იცდიდა. ამ გეარ არა

სანატრელმა და უწუგებო ბრიტოლის დასაწყისშა ვერც წაართვა და ვერც შეარყია მეფის ზეობრივი ძალა. ამ ციკი უარის უმცლ ერეკლე ფიცხლავ ღვება ფეხზე და ვეფხვის სიმარდით აჭრინდება თავის მარჯს ცხენსა. მაშინვე მიუწოდება ქართველთა ჯარს ამ სიტყვებით: „ქართველებო, ჩემო განუყრელნო მშანო! ეს იყოდეთ, რომ ჩენი უკან დაბრუნება არ იქნება. უშვობესია, აქ გავწყდეთ; ოქენ იყით და თქვენშა ვაჟკაცობამ, ქართველებო“! მეფე ერეკლე გამარჯვების იმედი მხოლოდ თავის საკუთარ მშენიერ ცხენოსან ჯარზედ დამყარა.

პირველად, სპა და სპეა სამსეურო მოსაზრების გამო, მეფემ უბრავა ჯარს უკან დაბრუნებულიყო; ქართველი ჯარი სოფელ აწყურიდამ წამოეგდა და თორმეტი ვერსის მანძილი ვამოიარა. ამით წაქეზებული მტერი უკან გამოედევნა ერეკლეს ჯარსა. მოხდა ბრძოლა და ამ ბრძოლაში მხოლოდ ქართველთა ჯარის აეანგარდა ანუ მოწინავე რაზებმა მიიღეს დაი მონაწილეობა. მხლე გააბნიეს ქართველებმა ოსმალ-ლევნი. ამის შემდევ ერეკლე გამარჯვებულად მიუახლოედა ახალ-ქალაქსა და მერე ხერთვისსა. ზაკეს თე არა აულკაუში, რომ ერეკლე—ეს „ლომი მცირე აზიისა“ ახლო არისო, მაშინვე ნიაზან-ფაშამ საწიქაროდ გამოვზავნა ახალი ჯარი ერეკლეს საწინააღმდეგოდ. ახალ-ქალაქს და ხერთვისის დამცელება ჯარებმა ვერ გაუწიეს ერეკლეს დიდი წინააღმდეგობა. ამ ჯარს მოელოდა საშინელი დამარქება ქართველებისაგან, მაგრამ სწორედ ამ დროს გამოჩნდა ახალიციძიამ გამოგზავნილი ჯარი. მრეკლე მეფემ სისწრაფით შეაგროვა თავისი მხედრობა და გაპყო სამ ნაწილად: 1., მარჯვენა ფრთა ჩააბარა თავის უფროს შეილს გიორგი ბატონიშვილს; 2., მარცხენა კი—თავის სიძეს დაკით აუბელიანს. და

ზალისა; 3., თუმთ მეფე ერეკლემ დაიჭირა შეუ გული ამ თა
ფრთათა შორის.

პირველ დღეს ომი არ მოხდა, რაღაც მტერს დიდი ჯარი
ჰყავდა საბრძოლელად და იმედიც ჰქონდა, რომ გაქირების
დროს კიდევაც მოქმატებოდა; ამიტომ ერეკლემ ხერჩი იამარა,
რომ ამ ხერხით მტერს სხვა ჯარი კიდევ არ მომატებოდა. ბინ-
დის დროს, მეფის ბძანებით, გაგზავნეს უკეთესი ჯარის კაცი:
ერისთვის შეიღი აღაბაძა, სეიმუნ მუხრან ბარუნიშვილი ნასა-
ლიჩაში და ხუდია ბორჩალიაველი, ჩინებული და მამაცი ყო-
ველსა საქართველოსა შინა, “ რომელთაც აპარეს ასპინძის ანუ
დოსტენის ხიდის ისრები. . .

მალე დაღამდა კიდეც. მრთავ ჯარის ბანაკებში საშინელი,
არა ჩეცულებრივი ფაცი-ფულია; ჰაერში თითქო საზარელი
სისხლის სული დატრიალდა. შველა მხედარს უდგა თვალ-წინ
დალესილი ხმლების ბრიალი; მას ურს უკედავს განუწყვეტელი
თოფ-დამბაზის ჸექა-ქუხილი ... ელანდებათ ჭრილობანი და
სასიკედინე იარა-წყლულნი; გული შუოთავს, სული სწუბს; ყი-
უნი, ღრიალი, გულ-საკლავი კვნესა და გმინვა ერთმანეთში
ირევა: ყოველივე ეს მოსევნებას არ აქლეს არც ერთ მცედარს.
მომავალი დღის სურათი ლანდსა და მოჩენებასავით ძალა უნე-
ბურად თვალ-წინ უდვა გაშაგებულს მხედარს, გამოუდილს თუ
გამოუდელსა. პირის-პირ შეყრილნი მტერნი ჰკრძნობენ ხეა-
ლინდელის დღის სიღიადეს, უნებურად მოელიან ზარ-დაშემს
განსაცდელს. ზულის ძერით და დიდის აღშვოთქით ელოდება
ჩენი ჯარი. . . განთიადს. პეტ ირაურავა კიდევ; შეეცნის მანა-
თობელმა გაანათა არე-მარე; მისმა დიდებულმა და განმაცო-
ცხლებელმა სხივებმა ჩაუდგეს სული დროებით მიძინებულს
ბუნებას; გამრიარულდა მიღამო; გამარიარულდენ ჩენი, წინა-

ღამის სიზრმებით აღელვებული და დატანჯული ქართველებიც, რო-
დესაც დაინახეს თავიანთი შეკერთ-მთავარი მეუე ერეკლე, ეს მარ-
თლაც რომ ერთი რამ „საკუირელება“ საოშრად გამოსულია.
ზათენდა ის დღე დიდებისა, რომელიც მეუე ერეკლეს მიაჩნდა
„სიკედილის ლხინად“.

— ქარგად გაარჩიეთ, ერთი დაინახეთ, უშიშარნო ქართველნო,
რა სიკედილის ლხინი არის დღეს! - ამბობდა ერეკლე ამ
სამაგალითო ოშის დროს, როცა ერთხანად მოზეავდა სიმრავლე
მტრისა და შედრეა შედრობა ერეკლესი.

მოშუადლევედა და ბრძოლა ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო.
მტრი ათეალიერებდნენ, შორიდამ ზომავდნენ ერთმანეთის
ძალ-ლონეს, ტოკავდენ.. მაგრამ საკმაო იყო ერთი გარემოება,
რომ ასპინძის ომი გაჩაღებულიყო.

ქართველთა მოწინავე არზების ერთი ნაწილი წავიდა სურა-
თის საშოვნელად გარშემო სოფლებში. აი სწორედ ეს ჩაფა-
ულის კაცი დაამარტეს ჩასაურებულმა ოსმალ-ლეკებშა და მიკ-
ყენენ „ხოცითა შეფედელე“. ამის მხილეელნი მეფის კაცი
შეიძრნენ და დაეცნენ ოსმალ-ლეკებსა.

სწორედ 20 აპრილს 1770 წელს, პირეელს საათზე, ორთავ
ჯარის მხრით მოისმოდა თოვების ჭექა-ქუჩილი და თან-და-თან
შეხურდა ბრძოლა, რომელმაც გასტანა სამი საათი. მართველე-
ბის ჯარი ერეკლეს წინამძლოლობით მედგრად დახედა მტრისა
და უმეტეს „სახელოენად გაისარჯენ შეიღნი ხევსურნი“, რო-
მელნიც სულ ერეკლე მეუეს გარს ერტყნენ. ბევრი ხოცეს და
სჭრეს ქართველებმა ოსმალ-ლეკენი, მაგრამ მტრის ძლევა-მო-
სილს ჯარში ბევრი დასტა იყო ისეთი, რომელთაც ჯერ არ
მიეღოთ ოში მონაწილოება. მტრის ახალი დასტების შემოტე-
ვამ დიდად შეარყია ერეკლე მეფის შუაგული ჯარი. უცებ შე-

ჩერდა შეუე... გაივი თუ არა საშიში ყოფა და განსაკლელზე ერეკლესი და მისი ჯარისა, მარჯვენა ფრთაში ერთობ ძლიერად წინ წამოიწია დაეთ თარიღის მინამდლოლობით და შეუეს აც გვარად ერთი მხარი კარგად გაუშავრა. მხოლოდ მარქენა ფრთაში ძალიან დაიგვიანა. საჩაროდ გავზიენა მეუე. ანტონ აქიმბაში ბატონიშვილ გიორგისთან და უბძანა, რომ ჯარი წინ წამოეყენათ შუაგულის კორპუსის მისაშეულებლად. ზორგი ბატონიშვილმა თავის ჯარით, რომელშიაც 900 კაცი იყო, გამარგა ერთი მაღლობი ადგილი. აქ დროებით დავანებოთ თავი ერეკლეს მხედრობას და გაცეცეთ ანტონ აქიმბაშა. მნახოთ, რა პასუხი უთხრა გიორგი ბატონიშვილმა აქიმბაშა. პი, როგორ მოგვითხრობს ამ ამბაეს თვით მნახელი და დამსწრე ელიშბარ ფალავანდიშვილი; მეუის ბძანების უმაღ ანტონა აქიმბაშა საჩაროდ გასწია გიორგისაკენ და მოახსენა:

— ბატონიშვილო — აღელვებულის სმით ეუბნებოდა ანტონა აქიმბაში გიორგისა: — მეუე გთხოვს საჩაროდ მოშეველებას თქვენის ჯარის.... თქვენს მხეს ვუიცავ, მამა თქვენი მეუე და იქ მყოფი ქართველობა ძალიან დიდს გაჭირებაში იმუოფებიან.

— ანტონა აქიმბაშო, — უპასუხა გიორგიშ, დამიჯერე, შენ უ იყავ ჩემთან. თუ ვინიცუობაა ისინი დაპრუნონ, მას უკან ჩემს ჯარს ჩვენ დავიჭიროთ.

ამ დროს მოისმა აქედ-იქიდგან ხმა. ზოგიერთში სარდლებმა მიმართეს ანტონას ამ სიტყვებით: „აქიმბაში, გაიგონე, ბატონიშვილი გიბრანებს, უნდა დაუჯერო“. ანტონამ ამათ არა უპასუხა რა და ნელ-მეორედ მოახსენა გიორგის:

— შენი ჭირიმე, ბატონიშვილო, რას მიბრძანებთ! მეუე ერეკლე იქ რომ დაამარცონ, აქ თქვენს თავს როგორლა დაი-

ჰერთ, მტერი სულ ფეხ-ქვეშ გაგქნისთ და ბოლო-დროს სულ ერთიანად საქართველოსაც გააოხრებს... ჩქარა წამობძანდით, შენი ჭირიმე.

— ანტონა აქიმბაშო, გირჩევ, შენც აქ, ჩემთან დარჩე. ბაშინ მივეშელნეთ, თუ რომ ჩვენი ჯარი დაგვიბრუნონ. ასე ანუგე-შებდა გიორგი აღშურთებულ აქიმბაშსა. სხვებმაც ეს ბატონი-შეილის რჩევა ხელმეორედ განიმეორეს, მაგრამ ანტონამ ყური არავის არ ათხოვა.

— თქვენს მზეს ვფიცავ, არ დავრჩები აქა... ღმერთი გადლე-გრძელებს, წამობძანდით

— ანტონა აქიმბაშო, დამიჯერე...

— ჩემო ბატონიშეილო, ვერა, ვერ დაგიჯერებ... წავალ სწრაფლ ისევ ჩემს მეუჯესთან და ჩემს ქართველებთან ერთად სისხლს დავაქცევ. სამშობლო მამულისათვის! — სთქვა რა ეს უკანასკნელი სიტყვა, აქიმბაშა ღონიშობად ჰქონა ცხენს ქუსლი და ელევი სისწრაფით მეფესთან მიიკრა...

ამავე დროს მეფე ერეკლე და მამაცი სარდალი დაეით ორ-ბელიანი ქართველებს ამჩნევებდნენ მამა-პაპათა ვაჟკაცობის გახ-სქნებითა, იბრძოდენ თავ-დავიწყებამდე... ვიღრე ანტონა აქიმ-ბაში. დაბრუნდებოდა და გიორგის პასუხს მიიტანდა, ერეკლე მეფემ თავისის ჯარის წინაშე წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა და ასე გაამჩნევა თავისი მაედარნი: „გულოვანნო მჩნენო, ქართველნო, ჩემო განუყრელნო ყოველ საშინელებაში, ჩემო ვულის ძმანო! ეს ამისთანა გაჭირებული ოში ჩვენ თავზედ პირ-ველი არ არის. ძარგად გაარჩიეთ, დაინახეთ, რა სიკვდილის ღინინი არის დღეს! ვიომოთ სიკვდილამდის, ასე სიკვდილამდის, რომ ჩენი ზურგი მტერმა ვერ დაინახოს: ეს ჯაბანთა წესი

არის.. თქვენ შინ გადაწყვეტით ვალიარებ, რომ დღეს უნდა გამოვესალმნეთ ჩეენს თავსა, აქ უნდა გავწყდეთ... ჩეენს ცოლშეილში, სირცხვილია, დამარცხებით მივიდეთ. მერე რა პირს დაგვინახევ ის ჩეენი კარგი დედაკაცი? — შესა, დამარცხებულ პირსა და თან გვეტყვიან: აი თქვე ჯაბნებო, წადით, დაიკარგენით ჩეენგანო... აბა, ჩემო გულის ძმებო, მინამ იმათ წინ ამ სირცხვილით წარესადგებოდეთ, გვიჯობს მამულისათვის ჩეენს წმინდა სიკედილზე, ჩეენს დაჭულების სისხლზე, თმები ვაწეწინოთ... გავწყდეთ, ქართველებო, მეც აქ თქვენში ვიმყოფები, ერეკლე!“

ამ მაღალ გრძნობით საესე და ქუჩილის ძალოვანმა სიტყვამ გაიტაცა აშეულოთებული ჯარი, აუნთო სიყვარული მამულისა და აამაღლა იმ ზომამდე, როცა თავ-განშირვა და თავდადება ნეტარებად მიაჩნია ადამიანს... ჯარმა ერთხმად შესძარა პასუხად თავის სახელოვან გმირს: „გავწყდეთ, ერთიანად გავწყდეთ. დედა შეერთოს ცოლად, ეინც აქედგან უსიკვდილოდ დამარცხებული წავიდეს!“

სწორედ ამ დროს ჭენებით მოატრინდა ანტონ აქიმბაშიცა და მოახსენა მეფეს:

— ჩემო ხელმწიფევე, ბატონიშვილი გიორგი იქიდგან ვერ დაეძარი.

ამ გვარად მტრის სიმრავლისაგან შეშინებულმა, ან თუ სხვა რამ მიზეზის გამო, გიორგი ბატონიშვილმა, ამ დიდად გაჭირვებულს და საშინელს წამისა მამას თავის დროზე ჯარი არ მიაშეელა. მეტე ერეკლეს შეილის შემწეობის მაგივრად პასუხად ცი-ვი უარი მოუვიდა. მეფის ბრძანება დარჩა შეუსრულებელი. ამ გარემოებით დიდად აღელვებულმა ერეკლემ არ იცოდა, რა ექნა.

— ღმერთო ღიდებულო, საქართველოს დამცელო, — ამას
და ფიქრობდა გულში ღიდ სულოეანი მეფე, — შენ იხსენ გან-
საცდელისაგან ქართველები! —

მტრის ჯარი თან-და-თან გათამამდა, ახალ-ახალი დასტები
მოემატა .. გამარჯვების სასწორმა თითქოს იმათკენ გადიწია.
დადგა ზარ-დამცემი წამი ქართველთათვის. მრეკლე იმ მდგომა-
რეობაში ჩავარდა, რომელსაც ადამიანის ბუნების მცოდნენი ანუ
ეგრედ წოდებული პსიხოლოგი „ზნეობრივ ციებ-ცხელებას“
უწოდებენ ... აგრე მეფე ერეკლე საშინელის გულის ძერით
და არა უბრალო მამაკვდავის სახით, რომელსაც „კაცისაგან
არა რა დაევარება-რა“ — გასცეკრის ერთ შავად მოარულს წერა
ტილსა ... ერეკლეს არწივისებურავა თვალებმა მაღვე იცნეს, რა
ძალა იყო ეს შავად მოარული წერტილი. ის იყო ლეკების სა-
ხელგათქმული ბელადი კოხტა, რომელიც ჰქონებით მოაქრი-
ლებდა ცხენსა და რომელსაც თან მოსდევდა გათამამებული და
ხმალ-ამოლებული ლეკთა ჯარი. პმ სიკედილ-სიცოცხლის წამს
ერეკლემ იგრძნო თავისი ღიდი მოვალეობა სამშობლოს წი-
ნაშე და მის გულისათვის ისხევრპლა თავისი სიცოცხლე. სის-
წრაფით წინ გამოხტა მარდა და „წითელ ტაიჭირ“ მჯდარი
გმირი და მიზანში ამოილო კოხტა ბელადი ... კოხტას სიცო-
ცხლე ძაფზედ ჩამოეკიდა და გაიწონა სასწორჩე. საკირველს მე-
თოვურს ერეკლე კახ-ბატონს აქაც არ უმტკუნა გამოცდილმა
ხელშა და გაწვრთნილშა თვალთა ხედეამა. უცებ იჭექა თავუმა
და მის გრიალს ბანი მისცა მტკერის ხელბამა. ზრი სიკედილისა
თან მიაჰყეა თოფის გრიალს. ძოხტას ბედი გაშავდა და იმისი
შეე დაბნელდა საუკუნოდ. ბაჭენებულ ცხენიდამ ლეკთა ბელა-
დმა მიწაზე საშინელი ბრაგვანი მოილო. პმის მნახველს ლეკთა
ჯარს და ოსმალთა რაზმებს თავზარი დაეცათ; მტერი შიშმა შე-

იჰურო; ჯარი უსარდლოდ და უთავოდ დარჩა. ზაქანებულის აღამიანს, რომ თავი მოუკლოდნელად მოჰკვეთოთ, იმისი სხეული ინტერციის კანონის ძალით, ცოტას კიდევ გაიჩინეს, შემდეგ ერთბაშად შეჩერდება და კანკალ-ცახცახით ძირს დაეცემა, შინაგან ძალას მოკლებული: სწორედ ასე მოუკიდა ოსმალ-ლეკის ჯარსაც, როცა მეფე ერეკლემ მოუკლა წარჩინებული სარდალი კოხტა ბელადი. ზათამამებულს და გამხნევებულს ლეკის ჯარს მოაკლდა უფროსი მხედართ მთავარი; ჯარი დარჩა უთავოდ. მტრის ჯარი შედრეკა, დაუძლებულდა და დამფრთხალი და თავზარდაცემული აპირებდა გაბნევასა და აქეთ-იქით გაქცევასა. ამ სწორედ ამ დროს შესძახა ერეკლე მეფემ თავის ჯარს, ერთობ გამარჯვების იმედით საესეს:

— მართველებო, ჩემო გულის ძმებო, — ხმალი ამ წუნკალებს! —

მართველებმა იშიშელეს ხმლები და დაუშინეს ოსმალ-ლეკებსა, რომელთაც იბრუნეს პირი და მიმართეს ასპინძის ხიდსა. მს ხიდი, როგორც ვიცით, წინათვე იყო დანგრეული და ისარ-აყრილი. ამიტომ ბეკრნი გაქცევის დროს ჩაცივდნენ აღიდებულს მტკარ-ში და დაირჩენენ.

ასე სამაგალითოდ დამარტეხს ქართველებმა მტერი, რომლის მხარეზე იყო ძლევა-მოსილი ძალა. ასპინძის ომი ანუ 20 აპრილი 1770 წ. საქართველოს სამხედრო ისტორიაში, ჩენის აზრით, არის უკეთესი ფურცელი. მრეკლე მეფის დროინდელთა აზრით ქართველების დამარტეხება ამ ბრძოლაში შეუძლებელი იყო, რადგან იქ იბრძოდნენ, განურჩეულად წოდებისა, საქართველოს უკეთესი შეილნი; ამ დაუციწყარ გმირთა დაქცეულის სისხლით ქართველებმა შეისყიდეს დიდი გამარჯვება. ბეკრი

ტურქა ეარდი და თაიგული მოჰკლდა მაშინდელს ვაჭაცთა კრებულსა და ახალგაზღობას, მაგრამ სამაგიეროდ თითოეულის გამოჰკლებულის სახელი უკუნობელის ეარდის გენტიგენით შეა-მყო მაშინდელმა საქართველომ და, ჩვენდა სამწუხაროდ, მხო-ლოდ დღეეანდელს აღარ ახსოეს არც იმ ომში თავ-დადებულ-ნი და არც ძლეული და გამარჯვებული

თვით მეფე ერეკლე ამ მართლად საყურადღებო და გასაო-კარ ასპინძის ომში მხნედ და ფიცხელად იბრძოდა უბრალო მხედარიეთ. მრეკლე როგორც სახელგანქთმული კართაგინელთ სარდალი ამილკარ ჰანიბალი ომს იწყებდა პირველი და უკა-ნასკნელი კი ათავებდა. ამას გეიმოწმებენ საქართველოში მყოფნი მსოფლიო მოგზაური აბბატ დელაპორტი და რუსეთის-მოხელე იაზიკოვი, რომელნიც ამ გვარად აგვიწერენ ერეკლეს სამხედრო თვისებას: „მეფე ნიჭიერი მხედართ-მთავარია და წარ-ჩინებული მხედარი; ყოველთვის ფიშტოთი ან თოვით შეია-რაღებული დადის; ომის დროს თვით ერეკლე აძლევს ქარ-თველთ ჯარს გულადობის და მამაკობის მაგალითსა — იგი პირველი ხმალ-ამოღებული დაეცემა ხოლმე მტერსა“.

ნუ დაიკიწყებთ, რომ პირველი სამხედრო ასპარეზი ერეკლემ დაიწყო სწორედ იმ დროს, როცა 15 წლისა იყო. 1735 წელს მეფე თეიმურაზ მეორე თავის სახლობით იმყოფებოდა ფშავის სიმაგრეებში შიშიანობის გამო. სწორედ ამ დროს მძინეარებდნენ და აოხრებდნენ საქართველოს ლეკები. ამ არა სანატრელმა და დასალუპ მდგომარეობამ გამოიწეოა ერეკლე ბატონიშვილი სა-ასპარეზოდ. ჰატარა კახი საქართველო აგროვებს კახელებს; ამ მცირე რაზმით იგი დახედა ლეკებსა ნეიშნის მინდორში. პირველად ბატონიშვილმა მოკლა კაცი; ამის მხილველთა კახთა ერთ პი-

რად მიმართეს ყივილით და წინა-წარიქციეს ლეკის ჯარი”。 ამ გვარად სამხედრო ასპარეზზე ერეკლეს პირველი ნაბიჯი იყო გამარჯვება. ამ დროიდამ მან განითქმა გმირის სახელი, რომელზედაც ბევრი იმედი გადიტანეს. აი რას ამბობდა სხვათა შორის საქართველოს კათალიკოზი ანტონ პირველი. „უნდა გენახათ ჩემი ერეკლე. პირველიდგანვე, როგორ საკვირველად გამოიჩინა თავი! თუ ერეკლე არ გაჩენილიყო ქვეყანაზე, დაგარწმუნებთ, საქართველო დაინტერირდა მტრისაგან, მაგრამ ჩემმა უუსაყვარლესმა მა ერეკლემ მტრები შეაძრწუნა და მამული გამოიხსნა თავისის ძლიერის ქართველებით. აბა ვიღა უდეგებოდა იმათ წინ, დათანხმებულის ერთის აზრით მექონეს ქართველებსა და იმისთვის მოთავეს ერეკლეს?“

ჟოველ ბრძოლაში მეფე ერეკლეს ჰქონდა თავი განწირული მამულისა და ერისათვის. ამ შემთხვევაში ერეკლე უნებლივ მაგონებს გამოჩენილ შვეციის მეფეს გუსტავ-ადოლფსა, რომელიც მამაცურად და უშიშრად ბრძოლაში ცხარ მონაწილოებას იღებდა უბრალო მხედარივით. ამის გამო გუსტავი ბევრს არ მოსწონდა. ბუსტავი უსაყველურებლენენ ხოლმე, რომ მისთვის განურჩეველია. სარდლის და უბრალო მხედარის მოვალეობა; მხოლოდ თვით გუსტავი, როგორც ნამდეილი მხედართ მთავარი, დარწმუნებული იყო, რომ მისი ჯარი იძღვნდა. მამაცი და გულადი, რამდენად თვით სარდალი საქმით აჩვენებდა ვაჭყაცობის მაგალითსა. „რა არის უმშენენერები და უდიდესი მეფი-სათვის, თუ არ სიკედილი მამულისა და ერისათვის?“ ასე ამბობდა გამოჩენილი ევროპიელი გმირი. სწორედ ამ გვარად ანუგეშებდა და ამამაცებდა ხოლმე მეფე ერეკლე თავის ჯარს, მომავალ განსაცდელისაგან შეშინებულს. „უნამუსოდ სიკედილისა ნამუსიანი სიკედილი სჯობია — ამბობდა მეფე ერეკლე. — მს ჟველამ

უწყით, რომ სიკედილის შეილნი ვართო და ჩვენს გვარსა და სახელსა ნუ მოეაყინებთ ორი დღის სიცოცხლისათვის . . დღეს ერთიანად გაეწყდეთ, მეც აქ თქვენში ვიძულდები, ერეკლე“! ბევრი ქართველების ისტორიული გამარჯვებანი აისახებიან მარლოდ ერეკლე მეფის თავგანწირეთ.

ერეკლეს კარგად ჰქონდა შეგნებული ეგრედ — წოდებული „ომიანობის ბუნება“; მას ცხადად ჰქონდა წარმოდგენილი დიდი შეიმუშავება სარდლისა ჯარისათვის; ერეკლემ ნამდეილად იცოდა, რომ ბრძოლის მინდორზედ თოვების ჭექა-ქუხილის და ლაპლაპა ხმლების ტრიალის დროს, ჯარი უსარდლოდ არის ბრძო შეშინებულთა ბატყანთა, რომლის გაწყვეტა და გაფლლეტა ძალიან ადგილი საქმეა. ამიტომაც, როგორც მოითხოვდა ხოლმე გარემოება, ერეკლე თავს არ ზოგადა და პირეელად თავის ხელით ჰქლადა მტრის წინამძღვალსა. ამით მევე ერეკლემ დაგეიმტყიცა, რომ იგი არის, როგორც მაღალი ნიჭით შემკული სარდალი, ისე ნამდეილი მხედარიცა. მაგალითად, მან თავის ხელით, როგორც წინად ეთქვი, მოკლა ასპინძის ოშში ლეკების ბელადი კოხტა. აგრეთვე ბელი ეწია ერეკლესაგან ბელადს მაღაჩასა, რომელიც მოკლულ იქმნა მეფისაგან არაგვის ხეობის ბრძოლაში 1744 წელსა. ამ გვარადვე იყო მოკლული. სპარსელთ წინამძღვალი ხანი მდინარე გარნიჩაზე 1752 წელსა.

ჩვენ ვიცით, რომ მევე ერეკლე ბერეს ბრძოლას დაიწყებდა ხოლმე „პირველი“. მისი თოვის გასროლა იყო ქართველ მხედართათვის სიგნალი — ის სამხედრო ნიშანი, რომლის შემდეგ ქართველნი გათამამებულნი მტერს ვაჟა-ურად და უშიშრად დაერეოდნენ ხოლმე. 1748 წელს მოხდა ბრძოლა დედოფლის წყაროზე. დიდალი ლეკების ჯარი, რომლის წინამძღვალად იყო დაღესტნის ბელადი შოჩალი, უცებ და მოულოდნელად დაეცა

ერეკლეს მხედრობას. საჩქაროდ მოაურინდა ერეკლე ცხენს და პირველშა თვით ესროლა თოფი და „ყოველთა უწინ მან მოკლა კაცი“. შემდეგ უბრძანა „მანედ შეტევება“ და გაცხარებული შეტაკების შედეგი იყო საშინელი დამარცხება და განდევნა ლეკებისა.

შეფე ერეკლე, თავდა-პირველად, იმ გვარი შედართ მთავარია, რომელსაც ბრძოლის ველზედ სწადს მტკრთან პირ-და-პირი შეტაკება; მას კარგად ესმოდა, რა განსხვავება სულენ სამხედრო მანქანების და ავაზაკურად მოქცეუის შორის. მრეკლეს სანატრელად მიაჩნდა ზუკელა და გაფლლეტა იმ მტრისა, რომელიც საჭართველოს სიავრაედა, მიწასთან ასწორებდა და ჩვენ სამშობლო არე-მარეს აოხრებდა. ამ გვარ მტერს მოსაკულელად ერეკლე ისე არ დაზოგავდა, როგორც გარეულ მხეცსა. საზოგადოდ ერეკლე ომში განურჩეველია; მხოლოდ ბრძოლის შემდეგ სულ სხვა ნაირად ექცევა იმ მოწინააღმდეგე ტყვეს, რომელიც ომობდა თავის მამულის დასაცველად. აღმოსავლეთის სამხედრო ჩეცულების ძალით ქართველები მომეტებულად ტყვებს ხოცავდნენ და მათ თავებს წარუდგენდნენ ხოლმე გამარჯვებულ მეფესა. ამას გვიმოწმებს მე-XVIII საუკუნის მემატიანე პაპუნა ორბელიანი. მრეკლე მეფე ქართველებს ნებას არ აძლევდა მოყვალათ ის მოწინააღმდეგე ტყვე, რომელიც თავის სიცოცხლეს სამშობლოს სხევერპლად სწირაედა. ამ გვარ მოწინააღმდეგეში მეფე აფასებდა კაცის ღირსებასა, ნამდეილ აღამიანურ თვისებასა. ამიტომაც ადვილი გასაგებია ჩვენთვის ის საყვედური, რომელიც ერეკლემ გამოუტადა ქართველებსა, როდესაც ეს უკანასკნელი ავაზაკურად ჰკლაედნენ ინდოეთში დაჭერილ ტყვეს: „ქართველებო! თქვენ არ გეკადრებათ ავაზაკურად მოკვლა იმ კაცისა, რომელიც მამულისათვის სხვერპლად თავს სწირაესო“.

მეფე ერეკლე შემცულია იმ გვარი თითქო ზეგარდამო ნაბოძი თეისებით, რომლის ძალით უბრალო მხედარს ამჯმაცებდა, აგულადებდა. საზოგადოდ საშედრო ნიჭის უპირატესობა უფრო იქაში გამოიხატება, თუ რამდენად სარდალს აქეს ზნეობრიეი ძალა მრავალ გვარი ჯარის კაცნი გახადოს ერთ სულად და გულად, — რამდენად წინამძლოლი მხედარს შთაუნერგავს გულში ერთ მაღალ წადილსა, რომლით გატაცებული მხედარი ბრძოლაში თავს არ დაინანებს, არ დაიზოგავს. ამ დაუუსასებელი თეისების ქონებით მეფე ერეკლე ბევრს გამოიჩინილს სარდალს რო დაუუარდება. მჩეკლეს სიტყვა, წარმოთქმული ომში ქართელი ჯარის წინ, არის, ერთის მხრით, ის უძეირფუასესი მარგალიტი, რომელიც გვიმტკიცებს მის ნამდეილ სახალხო ტრიბუნის ნიჭა; — მეორეს მხრით, იგი სიტყვა წარმოადგენს იმ ქუჩილის მზგავს ძალას, რომელიც ნაპერწყალიერ ედება ჭდა-მიანის გულსა და სწეას მას. მს სიტყვა მსმენელს ერთბაშად გაიტაცებს და არ კი აძლევს დროს წინააღმდეგი რამე ათქმე-ენოს. ასეთი ძლიერია ნამდეილი მკერ-მეტყველის სიტყვა.

1747 წელს ნადირ-შაჰმა მოსთხოვა საქართველოს ნახევარი მილიონი ფული. ზარდახდა ამოდენა ხარკისა. საქართველო-სათვის ძალიან სამშირო და თითქმის შეუძლებელი. საქმეც იყო. შეელას ეგონა, რომ ნადირ-შაჰი სპარსეთში გადასახლებას გვიპირებსო. იყო დროტეზეა და ვაება საქართველოში... უველა ეთავისებოდა სამშობლოს საუკუნოდ. ამ დროს ორნივე მეფენი თეიმურაზ II და ერეკლე II შეკრძნ სათათბიროდ. თათბირზე დაესწრენ საქართველოს დიდებულნი. და წარჩინებულნი. აქ ვადასწყეიტეს, გაეგზავნათ დესპანები და ეთხოვნათ ნადირ-შაჰისა-თვის ხარკის შემცირება. პერძოდ ერეკლე მეფე წინააღმდეგი იყო ამ წინადაღებისა და აი რას ეუბნებოდა ამ გავირებულ

დროს მოთათბირება: „ჩემო ძმებო, უშიშარნო ქართველებოთ რათ უნდა კონფიდენციალურობა იმ ნადირ-შაჰსა, რომელსაც ჩვენის მკლავის ძალა უნახავ და ჩვენი შეურჩეველი ვაჟკაცობა უცდია. ამის შემდეგ, როგორ უნდა დაემტიროთ თავი და ესთხოვოთ რამ უშიშარმა ქართველებმა ვინ იცის, რამდენ ომების ცეცხლში გამოვლილებმა! ეს არ გვეკადრება ვაჟკაც ქართველებსა... იქნება თქეენი ძალ-გულა დავარგული იყოს ინდოეთსა? არა... ამას ნუ მარტევინებთ თქეენზედა, ნუ დაგიმცირებიათ ეგრე გული ჩვენის მამა პაპისა. ძიღვე შეირტყით სიმხნე და დანარჩენი ღმერთმან იზრუნოს“.

საქართველოს ხალხი დაეხიზნა სხვა-და სხვა სიმაგრეებში. თეით ერეკლემ გამაგრა არაგეის ხეობა, სადაც მოელოდა განძინებულს და ჰქუაზე შეშლილს ნადირ-შაჰსა. როცა ჯარი სულ ერთიანად მოვროვდა, ერეკლემ წარმოსთქა შესანიშნავი სიტყვა, რომელმაც დიდად გაამხნევა ქართველები. პი ეს სიტყვაც: „უშიშარნო ქართველებო! ქხლა არის თქეენი გამოჩენის დღე. ნამეტნავად იმ განძინებულის ნადირის წინაშე, რომელსაც ჩერენი გაქრობა უნდა და ჩვენს ნაცელად: სპარსელების დასახლება. სწორე მამულის შვილი მოითმენს განწირულს სილარიბესა, მოითმენს ცეცხლსა და ყოველსა საშინელებასა, რასაც კი ვიტყვით, მაგრამ ჩერენს მამულზედ ჩვენს ნაცელად სპარსელების დასახლება, რომელმა უნდა მოითმინოს, თუ არ დავრდომილმა ქალაჩუნამ ანუ გამუიდველმა ანგარმა? — ქართველებო! თქეენ ის არა ხართ, რომ სპარსეთი გაიარეთ და ინდოეთში შეხვედით, ის მომთმენნი ქართველები შორის გზისა? რისთვის შეიწყნარეთ ის შრომა, შწეხარება, თუ არ თქვენი მამულისა-თვის?... რისთვის ემსახურებოდით დიდრონს ომებშია ისე თავ-დადებით ნადირ-შაჰსა, რომელსაც აკერვებდა თქვენი შეუ-

პოვარი მკლავის ძლიერება! ქართველებო! ინდოეთის ომებში მეგობრობით რომ აკვირებდით ნადირსა, აბა აქ გმართებსთ თქვენ აღრე გაძლიერებულ მეგობრის წინაშე და ახლა კი გან-ძეინებულის პირის-პირ მდგომთა ქართველებისა . . . აქ შინ ალარავინ უნდა დაერჩეთ; დედაკაცებმაც იარალი შემოირტყან და საერთო სისხლის ღერა მოხდეს და იქ გადაწყდეს ჩეენი არ-სება ქართველებისა, მაშინ დაინახავს ის ნადირი, ჩეენი მეგობრობა რა არის იმისთვის და ან მტრობა“ . . .

მსოფლიო ისტორია ბევრს წარინარებულს სარდლებს ჩაშოსთვლის, მჰოლ უდ ერეკლესთანა მცენრ-მეტყველი მხედართ მთავარი, პირუთკელად ვიტყვი, სწორედ იშვიათი მოელენა. ბევრი ეკროპიელი სარდალი, როგორც მაგალითად ევგენი საერელი, ტიურენი, იყო მოკლებული ამ მეტყველების წიჭა. პოველს ერეკლეს ჯარისადმი მიმართულ სიტყვაში ხელ-სამძღვან გრძნობის შინაარსა შეადგენს ქართველების მაღალი და კეთილშობილური ნაციონალური სიამაყე, რომელიც იყო შედეგი ჩეენი წარსული დრამატიზმით აღსაეს ცხოვრებისა. მს იმ ქართველის სიამაყეა, რომელცედაც ჩეენი ნიჭიერი პოეტი გრიგოლ არბელიანი სამართლიანად ამზობს:

„შავთა ღროთ გრძა შესცვალის მის გულა ანდამაცისა,
იგივ მხრი, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა“.

II.

სიყრმეშივე ერეკლე იმისთანა მდგომარეობაში იზრდებოდა, რომ მისი სამხედრო ნიჭი მწიფებოდა არა წლობით, არამედ საათობით. მრთი ის ისტორიული გარემოება, რომელმაც ერეკლეზე იქონია დიდი გავლენა და რომლის საშვალებით მან

ბევრი რამ შეიძინა, იყო, რასაკეირველია; ერეკლეს ინდოეთში ყოფნა ნაღირ-შაჰის დროს. ამ ინდოეთში ყოფნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერეკლესათვის კერძოდ და საზოგადოდ ის ქართველებისათვის, რომელნიც პატარა კახის დროშის ქვეშ იმყოფებოდნენ. თეთ ერეკლე სპარსეთიდამ სწერდა თავის დას ანნას, რომ ინდოეთში დიდად გამოეიცადეო, ბევრი რამ ენახეო, მათლოდ შთაბეჭდილებების აღწერა კი მემკელებაო.

ბრაეალ გვარი ბრძოლა, საშინელი ომები, შეუპოვარი შეტაკებანი ინდოეთის ნიადაგზე — აი სწორედ ერეკლეს სამხედრო სკოლა, რომელშიაც მისი ნიჭი ძალიან გაიწროვნა.

რა მიზნით, ან როგორ მოხდა ერეკლეს ინდოეთში წასელა? აი გარემოებანი ამ შესანიშნავი ისტორიული ფაქტისა. 1736 წ. თეიმურაზ მეორე მრავალი გამოჩენილი ქართველებითურთ სხვა და სხვა პოლიტიკური მიზეზების გამო დაიჭირეს და სწრაფლ გაზაენეს სპარსეთს. მოიყვანეს თუ არა თეიმურაზი ისპაანში, იყი გაანთვის უფლეს პყრობილ აბისაგან და მიიღეს დიდის პატივით, როგორც შეკვერის მეურის ლირსებასა. სწორედ ამავე დროს სპარსეთის შაჰი ნაღირი ემზადებოდა აელანეთში საომრად და თეთ თეიმურაზიც ყანდარს წაიყვანა. ნაღირ შაჰი ძალიან აუასებდა ქართველების ვაკეაცობას და მას ჰქონდა გულითადი წაღილი დაებარებინა სამათ ახალგაზდა ქართლ-კახელი პატარა ერეკლეს წინამძღვალობით. მეუე თეიმურაზს ეს შაჰის წაღილი მალე გამოუტადეს ამ სიტყვებით: „რომელიმე შენი შეილა დაიბარე და რა ის შთამოვა, შენ მაშინ დაგითხოვთო“; ამასთანავე ნაღირშა ერეკლესაც კერძოდ გაუგზავნა დაბარების წერილი. ჩეიღმეტი წლის ერეკლემ დიდის სიამოენებით აასრულა შაჰის თხოვნა და მის მაგივრად 1737 წ.. თებერვალს იახ-

ლა ნადირ-შაჰსა. როდესაც ერეკლე პირველად წარსდგა შაჰის
წინაშე, ნადირმა საშინელის მრისხანებით და სასტიკად ჰკითხა:
„არ მიიღებ მაჲმადის რჯულიათ?“ — ერეკლემ, როგორც დიდად
ლეთის მოყვარე ქრმამ უშიშრად მიუვია პასუხი:,, ჩემი სიკვდი-
ლი შესაძლებელი არის და სულისა ვერვისა ძალ-უძა. და არც მე
მივიღებ მაჲმადის სჯულსაა.,.— ამ გვარი ნამდეილი გმირული
და პირდაპირი პასუხი ძალიან მოეწონა ნადირ-შაჰსა და ერეკ-
ლეს შემდეგი ნუგეში სცა:,, ნუ გეშინიან, მე აღარ გაიჭულებო.“

ამ ნაირად სახელმოვანი სპარსეთის შაჰი შეიქმნა სამხედრო
მასწავლებლად ერეკლე მეფისა. ნადირი ამბობდა, რომ ქართ-
ველი მცირე არამი ინდოეთში მხოლოდ იმიტომ მიმყაეს, რომ
სამხედრო საქმეებში გაეწუროთნოვთ; მაგრამ ჩენენკი ეფიქრობთ,
რომ ჭყიანს ნადირ-შაჰსა სხეა მოსაზრებაცა ჰქონდა. შაჰს არ
უნდოდა მალე დაებრუნებინა თავის ქვეყნისათვის ისეთი გმირი
და წარჩინებული სარდალი თავის რაზმით, როგორიც იყო
ერეკლე ბატონიშვილი. თუმცა ეს ასეა, მაინც ჩენენ გვაქეს სა-
ბუთი ეთქვათ, რომ ნადირ-შაჰმა, როგორც ლეიილი-შეილი, ისე
გამოუზარდა საქართველოს პატარა ერეკლე, ეს „დიდება ივე-
რიისა.“

ვინ იყო ნადირ-შაჰი? როგორ გაითქვა გამოჩენილი სარდ-
ლის სახელი? არ იქნება უშიშრებელო, რომ გაეიცნოთ მისი
ვინაობა; ეს მით უურო საჭიროდ მიმაჩინა, რომ ნადირ-შაჰსა
აქეს მნიშვნელობა მე-XVIII საუკუნის საქართველოს ისტო-
რიაში. როდესაც ზოგიერთი დასავლეთ ეკროპის მწერალი,
როგორც მაგალითად ბუგანვილი, ამტკიცებს თავის ისტორიულ
ნაწერებში, რომ სპარსეთის გავლენა საქართველოზე უურო
საკეთილო და უურო ნაყოფიერი იყო, ეიდრე ოსმალეთისაო,

ამისთანა მწერალს, ჩემის აზრით, სახეში აქვს ნადირ-შაპის ღრო, 1735 წლიდამ 1747 წლამდე. ამ ღროს სპარსეთი მართლა მფარველი და მოსარჩელე იყო საქართველოსი.

შარსულ საუკუნეში კული-ხანმა დაიკირა სპარსეთის ტახტი და დაირქეა სახელად ნადირ-შაპი. ავ შაპი დაიპყრო ინდოეთი და ამის გამო დიდი სახელი გაითქვა. საზოგადოდ ნადირ-შაპი მიაჩნდათ სპარსთა „ალექსანდრედ“. მაშინდელს ფულზე ამისთანა ზეღწარწერას ამოიკითხავდით: „მსოფლიოს მეუედ დაბა-დებულა, რომლის შხვაეს არაენ არის, წოდებული მეუედ-მეუედ, ენ არს ესე? — ნადირ-შაპი.“ დასაცლეთ ექროპაში ერცელდება სხვა და სხვა ენებზე მთელი ლიტერატურა, რომე-ლიც შეეხება ნადირ-შაპის მოქმედებას, იმის კეორებას, იმის გმირულ სარდლობას. ამ საგანზედ სწერდნენ ფრანგები, ჰოლ-ლანდიელები, ინგლისელები, გერმანელები და რუსებიც. საუკუ-რადლებოა, რომ ამ საუკუნის დამდეგშიაც რუსულს ენაზე მო-პოვებიან დრამატიკული თხუზულებანი, რომელშიაც უმთავრეს მოქმედ პირად ნადირ-შაპია. სხვათა შორის ერთი ამ გვარი ღრამა დაწერილია პლაეილშიიკოვის მიერ. მს ღრამა დაბეჭდი-ლი იყო ს.-პეტერბურგში 1816 წელსა. ავ პიესაში ჩართულია აგრეთვე ნადირ-შაპის სურათიცა.

ნადირ-შაპი იყო ლამაზი, წარმოსადეგი და ახოვანი კაცი; იმი-სი დიდებული და კეთილშობილური სახე კაცს ძალა-უნებურად მიიჩიდავდა. ბუნებას უხეად დაესაჩუქრებინა ეს კაცი ნიკით-თავისი ნიკი მან მალე გამოიინა, როგორც სამარტინი საქმეებში, ისე ქვეყნის მართვას და გამგეობაში. აი სწორედ ამ თავის ღროს სახელგათქმულს შაპს ჰქონდა დიდი მნიშვნელობა სა-ქართველოს ისტორიაში.

ნადირ—შაპის ზოგიერთმა ქართველთათვის სასარგებლო განკარგულებამა ცოტა ხანს სული მოაბრუნებინა წარსულს საფუნქში ჩევნს დასუსტებულს ქვეყნას. მაგრამ ეიღრე ამ სავანზედ ვიტყოდე რასმე, საჭიროდ ვრაც ორიოდე სიტყვა ეთქა ნადირ-შაპის შთამომავლობაზე. მეროპიელნი მწერალნი არ არიან ერთისა და იმავე აზრის სპარსეთის შაპის ეინაობის თაობაზე. ზოგი ამტკიცებს, რომ ნადირი იყო ინგლისელი, ზოგს კიდევ ფრანგად მაჩნია. სხეათა შორის ერთი ჰოლანდიელი ავტორი, კაცი ფრიად მცირდე და გაგებული, ამტკიცებდა, რომ ნადირ-შაპი გოლლანდიელი ბერიაო. აკრეოვე შაპის შთამომავლობის შესახებ მაშინდელ ეეროპიელთ შორის ის აზრიც იყო გავრცელებული, ეითომ ნადირ-შაპი შთამომავლობით ქართველი თავადიშეილი იყოვთ. სახელს და გვარს ამ ქართველის თავადშეილისას მემატიანენი, სამწუხაროდ, არ ასახელებენ. ჩევნ მაინც ვეცდებით გაერცელებით ვაუნობოთ მყითხელებს ეს აზრი მაშინდელის ეეროპიელებისა.

ნადირ-შაპი იყოვთ, ამბობენ ეეროპიის ზოგიერთი მწერალნი, კეთილშობილთა ჩამომავლობისა. იმისმა მამამ, თავის დროს დიახ გამოჩენილმა და მოწინავე ქართველმა თავადმა, თავისი სიცოცხლე სხეერპლად შესწირა სამშობლოს მტერთან ბრძოლის დროს. მამის სიკედილის შემდეგ, იმისი შეილი კულიხანი, იმჯედ დაკარგული თავის სამშობლოში, წავიდა საზღვარ გარედ. რადგან ამ ახალგაზდა თავადიშეილმა მტრებთან ბრძოლაში დიდი მამულიშეილობა გამოიჩინა და ძლიერი წინააღმდეგობაც გაუწია მტერსა, ამიტომ ძალიან ეშინოდა, რომ მტერი უეკულად ჯავრს ამოიყრიდა. ვიდრე სამშობლოდგან განიელტოდა, ყმაწევილმა კულიხანმა ქართველთა შორის ბევრი ამხანაგები შეაგროვა და შემდეგ მათთან ერთად გასწია საქარ-

თეველოდგან. პირველად ლტოლეილნი შეეხიზნენ დაღისტნელებს და იმათ სთხოებს შემწეობა. დიდ ღრის არ გაუელია ამის შემდეგ და ახალგაზდა თაეადიშეილი პატარა ჯარის უფროსად დაინიშნა. ამ პატარა ჯარით ახალგაზდა სარდალი წაეიდა საომრად აელანელების წინააღმდეგ. მს ომი კულიხანმა დიდის ხელოენებით აწარმოვა და მალე დაამარცხა აელანელნი. ელვის სისწრაფით გაუეარდა ხმა ამ ახალგაზდა თაეადიშეილსა ნიკიერის სარდლის სახელი და თან და თან ჯარიც გაუმრჩავლდა. კულიხანის გასაოცარმა მამაცობამ, იმისმა შესანიშნავმა სამხედრო ნიჭმა დიდად გააკვირვა მთელი სპარსეთი. მს. ქვეყანა, როგორც უკვე მოგეხსენებათ, მე-XVIII საუკუნის დასაწყისში ძირეულად იყო შერწყეული. ამ ღრის სპარსეთში იშეიათი არ იყო არეულობა ტახტის მემკვიდრეობის გამო. ამით სარგებლობდნენ სპარსეთის ქვეშევრდომნი ხალხნი, რომელნიც მაღმალ აჯანყდებოდნენ ხოლმე. პირველად აელანელთა შორის გამოჩნდა ის მრისხანე ღრუბელი, რომელმაც შეარყია მთელი სპარსეთი. 1721 წელსა სამოცი ათასი ჯარით აელანელების წინაშემოლმა მიჩ-მახმუდმა აიღო სპარსეთის სატახტო ქალაქი ისპანი. სპარსეთის შაჰმა გუსეინშა უარყო გვირგვინი და გადასუა მეორე შეილს ტახმასსა. სწორედ ამავე ღრის აჯანყდნენ ქართველებიც და რამდენსამე ბრძოლაში სპარსელების ჯარი განაბნიეს საქართველოდგან. 1730 წელს სპარსეთის შაჰი ტახმას დიდ გაჭირებაში ჩაერდა: ამ შაჰს მოაკლდა სამხედრო ძალა პი სწორედ ამ ღრის სახელგათმშული ქართველი თაეადიშეილი კულიხანი გაძლიერდა თაეის საკუთარის ჯარის წყალობით და სპარსეთის შაჰს ტახმასს შემწეობა აღმოუჩინა. ამ ამბაემა შაჰი ძალიან გაამხიარულა, მოიწოდა კული-ხანი და თავზე აკოცა პატივისცემის ნიშნად. შაჰმა მაღლობა გამოუკადა შემწეობი-

სათეოს კულიხანს და დანიშნა სრულიად სპარსეთის ჯარის სპასალარად. ცოტაოდენის ხნის შემდეგ კულიხანი ვახდა ჩეგენტად და მერე-კი 1735 წელს ავიდა სპარსეთის ტახტზედ ნადირ-შაჰის სახელით. ამავე წელს ქართველებმა სპარსელების დახმარებით გადევნეს ქართლ-კახეთიდგან ოსმალნი. მას უკან ქართველები ნადირ-შაჰის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. 1747 წლამდის ქართლ-კახეთი მოქმედობს თითქმის ყოველთვის სპარსელებთან ერთად-

ავიდა თუ არა ნადირ-შაჰი სპარსეთის ტახტზე, მაშინათვე გამართა მიწერ-მოწერა ხონთქართან. სხეათა შორის გაუგზავნა ხონთქარს ერთი ფრიად საყურადღებო წინადადება, რომლის მესამე მუხლი ამბობს: „უნდა სამუდამოდ აღკრძალული იქმნას ქართველ ტყვების გასყიდვა“¹. ხონთქარმა უნდა შეისყიდოს ეს ტყვენი და ამ უკანასკნელთ მისცეს უფლება თავიანთ სამშობლოში დაბრუნებისათ. გარდა ამისა ნადირ-შაჰმა დააწესა ის კანონი, რომლის ძალით სპარსეთში მყოფ ქრისტიანებს მიენიჭათ დიდი თავისუფლება. ამ გეარი თავისუფლება ნადირ-შაჰმა მიანიჭა ყველა სარწმუნოების წარმომადგენელებსაც. მაგრამ ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ ნადირ-შაჰმა სრულიად უარპყო ერთი ბარბაროსული კანონი. აი რა კანონი იყო ეს კანონი: საქართველოს ისტორია გვიმოწმებს, რომ ბევრი ჩევნი მეფენი ძალაუნებურად გამამაღიანებულან, მაგალითად: როსტომ I, ერეკლე I; თეით სჯულ-მდებელი საქართველოსი ვახტანგ VI და სხვანი . . ჭირვეული სპარსეთის შაჰები ამას არა კმარობდნენ და სტანჯავდნენ იმ ქრისტიანებს, რომელნიც მათ სამსახურში იყვნენ. აი სწორედ ეს კანონი, რომელიც ძალას ატანდა ქართველებს სპარსელების სამსახურში ყოფნის დროს უეჭველად მიეღოთ მაჰმადის რჯული, ნადირ-შაჰმა აღარ შეიწ-

ყნარა. აქედამ ცხადად სჩანს, რომ შედარებით ქართველებისა-
თვის ნადირ-შაპი უფრო გულ-შემატკიცარი იყო, ვიდრე სხვა
შაპები. მან დაურიგა ქართველებს მრავალი მამულები და ფუ-
ლი ჯარის შესაკრებად. ამით შაპმა ქართველები გაიერთგულა;
ამ წყალობის სამაგიეროდ ნადირ შაპი ყოველთვის, როცა კი
მოისურებდა, მოითხოვდა ქართველთ შვენიერ ცხენოსან ჯარსა.
ბევრი იმ დროის წარჩინებულ სპარსელთ სარდლებში ქართვე-
ლებიც ერივნენ, როგორც შაგალითად, ბატონიშვილი ერეკლე;
რომელიც დიდს მონაწილეობას იღებდა ავლანელების და ინ-
დრენაჟის ომებში. როგორ მოხდა ინდოეთის ომი? რა მიზნით
გაილაშქრა ნადირ-შაპმა ინდოელების წინააღმდეგ?

ნადირ-შაპის დროს შეორედ აჯანყდნენ ყანდაარის აელანე-
ლი, რომელთაც დიდ შემწეობას უჩენდა ინდოელების მოგო-
ლი მამადი; ამ ინდოეთის მეფემ ნადირი არ შეიწყარა სპარსე-
თის შაპად. ამ დიდი შემწეობით დაიმედოვნებულმა აელანე-
ლებმა ძალიან გაამაგრეს ყანდაარი. ამის გამო თავდაპირეე-
ლად აჯანყებულნი დაიმოჩინილა და შემდეგ 1738 წელს ნადირ-
შაპი ძლევა-ზოსილი ჯარით წავიდა ინდოეთში საომრად. მამა-
ურად გადაიარა ინდოეთის მთები და მიუახლოვდა ქაშემიჩსა;
ეს ქალაქი იყო სამაგალითო სამხედრო ალაგი და ამიტომ ძა-
ლიან გაამაგრა მოგოლმა, რათა დაიცას სოლიმანის მთების
შესავალი; მაგრამ ეს გამაგრებული ციხე-ქალაქი ეერას გაუხდა
ნადირ-შაპსა. ქალაქ ქაბულს ახლო სპარსელთ დახვდათ დიდა-
ლი ინდოეთის ჯარი. აქ მოუვიდათ საშინელი შეტაკება და სის-
ხლის ღერა, რომელშიაც საქმე წააკეს ინდოელებმა. ამ გვარივე
გაქარებული ომი მოუკიდათ ქალაქ ლაურის ახლო. თანამედ-
როვე მწერალის სიტყვით, აქ სამაგალითოდ იბრძოლა ცხენო-
სანმა ჯარმა, რომელშიაც ჩვენი პატარა კახიც ერია. მცით

ბატონიშვილი ერთ წერილში აღტაცებით იხსენიებს ამ გამო-
ჩენილ ომსა და ქართველების სიმამაცეს. ამ გამარჯვებით გა-
თმამებულმა ნადირ-შავა აიღო ქობულისტანი, მულთანი, ბუ-
ქორი და მიუხსლოვდა სინდეფის სამეფოს, რომელიც შეად-
გენდა ნამდეილ ინდოეთსა.

ამბობენ, ვითომ სინდეფის საზღვარზე, სადაც სპარსეთის
ჯარი დროებით შექერდა, ნადირ-შავა იყო დიდად გაკეირვებული
და თანაც შეშინებული ერთი უწაურის მოელენისაგან: ერთ
ალაგს დაინახეს ბოძი, რომელზედაც იყო დაწერილი შემდეგი
სიტყვები: „ის, ენიც გადაიელის საზღვარს ამ სამეფოს დასაჭ-
ყრობად, სრკედილით იქნება დასჯილი და მის სენინგას მომა-
კალში მოელის მუდმივი წყევლა“. ამ სიტყვებმა საშინალ
შეაშინეს გულადი ნადირ-შავა, რომელიც დიდხანს ღრმად
ფიქრობდა. ბერძისა ჰკითხა დარიგება, მაგრამ ვერავინ დააკმა-
ყოფილა სპარსელთ გმირი; მაშინ შავა ჰკითხა ერეკლეს: „რას
იტყვი შენ ამაზეო? წავიდეთ საომრად, თუ უკან დაებრუნდეთო?
ეს ბოძი, სწორედ რომ, საშინელებაო!“

— ბოძი, მშეიდობინად უპასუხა ერეკლემ, ააშიშარს არაც
წარმოადგენს; საკიროა, მხოლოდ ავკიდოთ სპილოს ზურგზე
და ასე ჩენ წინ ეატაროთ, ვიდრე სამეფოს დაეიპყრობდეთო.
მს მახეილი რჩევა ერეკლესი ძალიან მოეწონა ნადირ-შავა
და ამის შემდეგ მალეც აიღეს სინდეფის სამეფო. ამბობენ,
ვითომ სპარსეთის შავა 20,000 ოქროთი დაასაჩუქრა ერეკლეო
და დაუნიშნა უპირველესი ალაგი დიდებულთა მორის,

მრავალის ჯარით სპარსელნი გამარჯვებულად მიადგნენ სინ-
დეფის სატახტო ქალაქ დელისსა, რომლის აღების დროს მოხდა
შეუბრალებელი კაცია ქლეტა, გაუთავებელი ბრძოლა. შერთ-

ჭიელი არტილერიის ინჟინერებმა, რომელნიც შაპის ჯარში იჩქოუებოდნენ, ზარბაზნებით სრულიად დაანგრიეს ქალაქი დელისი. სპარსეთის ჯარმა, გაუზფიანებულმა სისხლის ღვრით, ააოხრა და მიწასთან გაასწორა ეს სატახტო ქალაქი. თუმცა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ინდოელებმა, თუმცა ბევრმა სხევრპლად შესწირა სიცოცხლე მამულის დასაცველად, მაგრამ ნადირ-შაპის ძალას ვერა უყვეს რა და მოგოლი ინდოეთისა და მორხილა სპარსელთ. თეთ ნადირ-შაპმა მიიღო წოდება „ინდოეთის იმპერატრისა“.

ამ ინდოეთის ომებში დიდი სახელი განითქვეს, როგორც საზოგადოებრივი ქართველობამ, ისე კერძოდ ერეკლემ. პატარა ერეკლე ყოველს დიდს ბრძოლაში, ვაცხარებულ შეტაკებაში დაესწრებოდა ხოლმე და აქ იჩენდა თავის მხნეობას, შეუპოვარ გულადობას, ნამდეილ ვაჭვაცობას და სამაგალითო მამაცობას.

ინდოეთში ყოფნის დროს ერეკლემ სამხედრო ნიჭის გარდა, ბევრი ძეირფასი ადამიანური თვისებაც გამოიჩინა; მაგალითად, აი ერთი იმ დროის შუვენიერი სურათი: ერთ ინდოელების რაზმთან ქართველებს მოუკიდათ ტარე და შეუპოვარი ბრძოლა. შართველებმა მალე განაპირობენ ინდოელნი, მხოლოდ ამავე დროს ერთი ღონიერი და ახოვანი ინდოელი მხედარი ძალიან გაჭირვეულდა და მამაცურად იბრძოდა. შართველებმა იგი მალე დაიჭირეს მწყერიეითა და მაშინათვე წაართვეს იარაღი და გაბრაზებულებმა მოიწადინეს ინდოელის მოკვლა. სად იყო, სად არა ელვის სისწრაფით გაჩნდება პატარა კახი და ქართველებს შეჰვირებას: „თუ თქვენ მაგ მხედარს მოჰკლავთ, მე დიდად მეწყინებაო“. ურეკლეს სიტყვაშ ძალე დააშვიდა ქართველები და მათ ხმლები ქარქაშ მიაქციეს. მრეკლემ მაშინათვე ეს წაართვეული იარაღი პატრონს გადასცა და. ამ საქციელის

გამო დიდად უსაყველურა ქართველებს ამ სიტყვებით: „ქართველებო! როგორ გეკალრებათ ნამდეილი მამულის შეიძის მოკველა ისე, როგორც უბრალო აეზაკისა, ნუ დაივიწყებთ, რომ იგი გატაცებით იბრძოდა თავის მამულის დასაცელად“. შემდეგ ამისა ერეკლემ მიმართა ინდოელს ამ საიმედო სიტყვებით; „ინდოელო! მე დიდად მომწონს შენი მამულის ერთგულება; როგორც აქამინ იბრძოდი მამულისათვის, ისევ ისე ემსახურე თავ-დადებით; დე შენმა მოძმეებმა დანახონ, რომ შენ სწორედ ნამდეილი მამულიშვილი ჰყოფილხარ. აങა, ეს შენი იარაღი შენივე იყოს და შენი მამულის ერთგულება ისევ შენთვის მოგვიცია ჩენ-ქართველებსა“.

ამ გვარი მოულოდნელი საქაუილით განცეიფრებულმა ინდოელმა ერეკლეს დიდი მადლობა მოახსენა და თავისებისაკენ გასწია.

ნადირ-შაჰის, რომელიც იყო გაკეირეებული ერეკლეს სამხედრო ნიჭით, იგი შეუყვარდა შეილივით. მს სიყვარულიც მაღე დაამტკიცა მან. შრთის საშინელის ომის დროს შაჰი სწრაფლად ცხენიდგან გადმოხტა, მოუწოდა თავისთან ერეკლეს, მოიხსნა წელიდგან ჩმალი და ერეკლეს შემოარტყა; „შენმა ქართველებმა და კერძოდ შენ ისე შომაწონეთ თავი, რომ ამ დიდს ომშივე მე მსურს დიდი მადლობა გადაგიხადოთ; ეს ხმალი იყოს ჩემი სახსოვარი; თქენმა შეილის-შეილმან ნახოს ხოლმე ეს ხმალი და იტყოდეს: „ნადირ-შაჰი გაკეირვა იმ ქართველებმა, რომელნიც მის წინაშე ძლევა მოსილობდნენ დიდის მამაცობით და გულადობითაო“: ნადირ-შაჰმა ლირსეულად დააფასა ქართველთა შრომა. ინდოეთის ლაშქრობის გათავების უმაღვე მან გამოუტადა ბატონიშვილს ერეკლეს დიდი

მაღლობა და ამასთანავე უბრძანა შემდეგი: „მეუის ძევ ერეკ-
ლე, შენ ეჭიჩები სამშობლოს და ნება მომიცა შენს ქვეყა-
ნაში წასვლისა. იყავ მარადის ჩევრი წყალობის მოიმედეო.“
ეს სიტყვა წყალობისა მაღვე საქმედ გადიქა. 1744 წ. ნადირ-
შავმა ერეკლე დამტკიცა კახეთის მეფედ და თემურაზი კი—
კართლისად.

წინად ვთქვი, რომ ერეკლეს ინდოეთში ყოფნა იყო მისი
სამხედრო შეკოლა. თვით ერეკლეც დიდ მნიშვნელობას აძლე-
ვდა ამ გარემოებას. ამას გარდა ეს დრო შესანიშნავია მით,
რომ მთელმა რაზმა ახალგაზდა ქართველთა აქ ინდოეთის
ნიადაგზე შეისწავლა ყოველნაირი სამხედრო წესი, აზიური
სამხედრო მანქანებანი. იქ მყოფნი ქართველნი შეიქმნენ ლონი-
ერი მკლავების და შეურყეველი ვაკეაცობის მექონენი. აი რას
აშბობდა ერეკლე მეფე ამ ქართველების შესახებ: „ქართვე-
ლებო! თქვენ ის არა ხართ, რომ უშიშრად შეხვედით ინდო-
ეთში, ის მომთმენნი ქართველები შორის გზისა? რისთვის
შეიწყნარეთ ის შრომა და მწუხარება, თუ არ თქვენი მამული-
სათვის? რისთვის იბრძოდით იმ დიდრონს ინდოეთის ომებში,
სადაც ერთობ ყველა გაკვირვებული იყო თქვენის შეუპოვა-
რის მკლავის ძლიერებით“.... აქ, ეჭვი არ არის, იგულის-
ხმებისან ის ნამდეილნი ქართველნი, რომელნიც შეაღენდენ იმ
დროის ახალგაზდობის თაიგულსა; მათი პირველი და უკანას-
კნელი არსებობის მიზანი იყო სამშობლოს სიყვრული, მისი
დაცვა შინაგან და გარეგან მტრებისაგან. ჩევნდა საუბედუროდ,
რიცხვი ამგეარის მამულის შეიღებისა თან და თან მცირდებოდა
და 1795 წელს იმ საშინელს და დასალუპავ დროს, როდესაც
მტერმა გავითხრა სამშობლო და დედა ქალაქი, თვით ერეკლე

წარმოადგენდა. უფერულ ცაზე იმ მკრთალ სამხრეთის ვარსკვლავსა, რომლის შექი აღარავის აღარუ-კი ათბობდა . . ამისთანა მდგომარეობამ ბევრი დროც არ გასტანა. მს სანატრელი და სანუგეში მნათობიც უცებ ჩაქრა . . . და მოსცილდა სამუდამოდ ჩვენს საყვარელ სამშობლოს . . .

III

წარსულს საუკუნეში საქართველოს ჯარი თავის სიმამაცით და გულადობით იყო დიდად გათქმული არა თუ აზიაში, სადაც იგი ასპარეზობდა, არამედ თეთი დასაცლეთ ექროპაშიც. მექოპიელო უფრო ძალიან მოსწონდათ ჩვენი ცხენოსანი ჯარი, რომელსაც იგინი უწოდებდენ „მშენიერს.“ რუსეთის ლენინებიც ჩვენი ჯარის შესახებ კარგი აზრისანი იყენენ. მაგალითად, გენერალი ლაზარევი (*) ერთ თავის მოხსენებაში 1801 წელს დიდის აღტაცებით იხსენიებს ჩვენს ცხენოსანს ჯარს, თუმცა აქე შენიშვნას, რომ ქართველთა შედარნი ერთობ ღარიბია შეიარაღებით. ლაზარევს არ მოსწონდა ჩვენი ქვეითი ჯარი, ვარდა ფშავ-ხევსურებისა და თუშებისა. „ბევრიო—სწერს ლაზარევი—ქეითი მხედარი იყო შეარაღებული შინდის. კეტებით. მაინც და მაინც თუ ქართველ ცხენოსან ჯარს არა უჭირდა. რა სწორედ იმ დროს, როცა საქართველოს შეილნი სულით და გულით დაეცნენ, ადეილი წარმოსადგენია, რა საშინელება უნდა ყოფილიყო ქართველთ ჯარი ერეკლეს დროშის ქვეშ თბილისის აღებაზე“.

ერთი ექროპიელი მწერალი, სახელად ვგონებ-ბუგანვილი, რომელიც იმყოფებოდა ნადირ-შაჰის ჯარში და რომელმაც ზედ-

(*) აქთ არხეოგრ. კომ. (თ. I, № 129, 186 ფ.

მიწერით შეისწავლა მისი მხედრობის თეისებანი, ასე გვიჩატაცს ქართველ მხედრის ფაზიონომიას. „ქართველები მთელს აზიაში უკეთესი მხედარი არიან და სპარსეთის ჯარში შეადგენენ უკეთეს და ჩინებულს კორპუსსა. როდესაც ქართველებს დასა- ულად აძლევენ რომელსამე ალაგს, ანუ ციხეს, იგინი მას ღირსეულად იცავენ და თითქმის არასოდეს არ დაანებებენ ხოლმე მტერსაო, ქართველებმა კარგად იციან შეილდ-ისრის ხმარება (?), რომელსაც უფრო მაღლ ხმარობენ, ვიდრე თოფ- დამბაჩისა; თუმცა—განაგრძობს იგივე აეტორი, ცეცხლით სას- როლი იარაღითაც ქართველები კარგად სარგებლობენ“.-შეილდ- ისრის ხმარება მე-XVIII საუკუნეში ცოტათი საეჭვო უნდა იყოს. ჩვენის აზრით, აქ აეტორის უნდღლივი შეცდომაა. ვინ არ იცის, რომ ქართველები არამც თუ ძეელ დროში, ახალ საუკუნოებშიაც შეილდ ასარს ომშიც ხმარობდნენ; თეით მე-XVII საუკუნის მემატიანე ამასვე გვიმტკიცებს: „იხად მშეი- ლდ-კაპარქი მეფემან (არჩილმა) და მოსრნა მჩავალნი „, (ქარ- თლ. ცხოვრ. ნაწ. II, 214 ფ.). მხოლოდ მე-XVIII საუკუნეში, თეიმურაზ II-ის და ერეკლეს დროს, პაპუნა ორბელიანის მოწ- მობით, ქართველები ამ იარაღსა ხმარობდნენ ნადირობის დროს. პირ იქით ნამდეილად ვიცით, რომ ერეკლეს დროს ომში ყო- ველი მხედარი ჯერ პირველად თოფსგაისროდა და მერე ხმლით დაერეოდა ხოლმე მტერსა. ასე იბრძოდნენ არაგვის ხეო- ბაში 1744 წელს, ასე იბრძოდნენ 1752 წ. მდინარე ვარნი- ჩაიაზე, აგრეთვე 1770 წ. ასპინძის ომში. არც ერთი მემა- ტიანე აქ არ იხსენიებს შეილდ-ისრის ხმარებასა. მე-XVIII ს. ეჭვი არ არის, რომ ქართველების იარაღი იყო ხანჯალი, ხმა- ლი, აგრეთვე შუბი. თავის სამხედრო შეიარაღებით ქართველი ჯარი უფრო წააგავს კლასიკურ ხალხების ჯარებსა, ვიდრე

დასაელეთ ევროპის ახლად შეწყობილ მხედრობას; თუმცა
მე-XVIII ს. ჩევნშიაც შემოვიდა ხმარება თოფ-დაშბაჩისა და
ზარბაზნებისა, მაგრამ მაინც ხანჯალი და ხმალი რჩება
ჩვეულებრივ ქართველ მხედრის დედა-იარაღად.

საყურადღებოა, ჩემის აზრით, ქართველ მხედრის თვისება.
მუდმივი მტრული ურთიერთობა მაჰმალიან მეზობლებთან, დაუ-
სრულებელი ბრძოლა ნაციონალურის დამოუკიდებლობისათვის,
მრავალ გვარი ომი მამულის და რჯულის დასაცველად — აი ის-
გარემოებანი, რომელთაც იქონიეს დიდი ზედ-გავლენა, როგორც
საზოგადოდ საქართველოს ხალხზე, ისე კერძოდ ყოველ ქართ-
ველზე. შეგნება თავის მაღალი მოვალეობისა, მამულისაღმი
სიყვარული, ძელი დროის სახელოვანი ტრადიციები, საჩრ-
მუნიციპალიტეტი გრძნობანი — აი ის ზნეობრივი ძალა, რომელიც
ასულდგმულებდა წარსულ საუკუნეში ჩვენს მხედარს. ამ
თვისებით განსცვალული ქართველი მხედარი ადეილად იტანდა
განსაკუდელსა და ყოველთვის გამარჯვების. მოიმედე იყო.
ჩვენი მხედარი დამარცხებისაგან ისე არ იჩარებოდა, რომ სუ-
ლით დაცემულიყო და უნუგეშო გამხდარიყო.

ამ ისკორიულ გარემოებათა ძალით ქართველ მხედრის
ფიზიონომიამ თავისებური ხასიათი მიიღო. იგი ძალიან გულ-გრი-
ლად ეკიდებოდა თავის სიკოცხლეს; წუთი-სოფელი მას მომე-
ტებულად ცოტა ნუგეშს აძლევდა; მისი ცხოვრება იყო სახე
მწუხარებით და ღელვარებით. ამის გამო ქართველი მხედარი,
თავდა-პირეელად, თეთი ბუნებით ამაყია; მისი სიამაყე გაიზარდა
თავისუფლების ძუძუთი . . . ქართველი მხედარი ამაყობს ყველ-
გან და ყოველთვის; დამარცხებაში, როგოროთაც გამარჯვე-
ბაში, — იყო ამაყად იცავს თავის პიროვნებას; ამასთან დაუ-
მატეთ მისი საკეირეელი გულადობა, გასაოცარი შეუპოვრიბა

და თავგანწირულება და ადეილად წარმოიდგენთ, იყო თუ არა
შესაძლებელი, რომ ქართველი უშიშრად შევარდნილიყო ხოლმე
მტრის ჯარში, თუ გინდ ეს უკანასკნელი რაოდენობით ათ-
ჯერ მეტი ყოფილიყო. ამის მაგალითები მრავალია; ბევრი რომ
არა ესთქვათ, მოვიტონოთ მხოლოდ ქალაქის აღების დროს.
1795 წ. სამასი არაველი გლეხი.

ზამოჩენილი იტალიელი გმირი გარიბალდი ამბობდა, რომ
ჩემ დიდ ხნიერ სამხედრო მოღვაწეობიდამ ის დასკვნა გამომ-
ყავს, რომ ნამდეილ მხედრად ჩაითვლება მხოლოდ ფანატიკუსი,
ისეთი აღტაცებული კაცი, რომელიც ბრძოლის ელჩედ მიეძ-
გზავსება ნამდვილ ლომსა. სწორედ ამგვარივე იყო ქართველი
წარსულ საუკუნეში. მეგობრაში არ წააგავს არც ათინელთა,
არც რომაელთა. ძელი მემატიანების აღწერით ათინელი მხე-
დარი მტერს ებრძეის დიდის აღტაცებით და საშინელის გაბედეთ;
რომაელი კი ებრძეის მტერსა მხოლოდ სიამაყის გამო; მას
მტერი თავის თავშე დაბლა მიაჩნდა; კაცურ ღირსებას მოწინა-
აღმდეგეში რომაელი მხედარი არა ხედავდა. ამ სიამაყით გატა-
ცებულს რომაელს მტრის გაყლეტა ისე არაფრად მიაჩნია, რო-
გორათაც ჭიანჭველისა. რო შევაერთოთ ეს ორი უპირატესი
სამხედრო თვისებანი რომაელთა. და ათინელთა, თვალ-წინ წარ-
მოგვიდგება ქართველი მხედრის ფიზიონომია; ერთის მტრით სია-
მაყის გრძნობის ძალით მას მრავალ-გვარი მტერი, რომელიც
სამშობლოს სჩაგრავდა, მიაჩნია „წუნკალებად“, მეორეს მტრით
ქართველებისათვის ომი იყო მხოლოდ „სიკვდილის ლხინი“
ანუ „მამულის ქორწილი“. პი ეს სიტყვა ნაილად გვიხატავს,
რომ ჩვენი მხედარი, გატაცებული მამულის სიყვარულით, ფბ-
რძოდა მტერს დიდის აღტაცებით თავის-დავიწყებამდე. რაც
უნდა განსაცდელში ჩავარდნილიყო ქართველი მხედარი უფრო

ამჯობინებდა სახელოვან, ნამუსიან სიკედილსა, ვიდრე ნაძრაჩ უკუკეცევასა. — მრთი დაინახეთ, რა სიკედილის ლხინია დღეს-ბევრჯელ ამბობდა გახურებულს ომის დროს მეფე ერეკლე — „, ვიომოთ სიკედილამდის, ასე სიკედილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა ვერ დაინახოს. : სირცხვილია ჩენს ცოლშვილთან დამარცხებით მისვლაო“. — როგორც ძველი დროის სპარტა-ნელებს, ისე ქართველ მხედარს ბრძოლა მამულის დასაცე-ლად მიაწიდა „,ქორწილად:“ ვინ არ იცის, რომ სპარტანელთ უყვარდათ ომის წინად გვირგვინებით მორთვა? ვინ არ იცის, რომ მეტეთ საუკუნეში ქრისტეს წინად სპარსეთის მეფე ქსერქსი იყო დიდად გაკეირვებული ამ სპარტანელების ჩეეულებით? მხო-ლოდ გაკეირვებულს ქსერქსს სპარტანელთ მეფემ ლეონიდა ასე აუხსნა ამ ჩეეულების მნიშვნელობა: „,ჩვენი მორთვა იმას ნიშნავს, რომ გვსურს ან გამარჯვება, ან ერთაინად სახელო-ვანი სიკედილი. პისთანა დროს სპარტანელნი გვირგვინებით ვიმოსებით ხოლმე.“ — სწორედ ასე იყენენ გაკეირვებულნი მე-XVIII ს. სპარსელთ ხანები. ზევით დასახელებულ ჩეეულებით ქართველი ჯარი უნდა ურად მაგონებს სპარტანელებსა. ბრძოლის დაწყების წინ ქართველს უყვარდა ქარგად მორთვა; იგი იცამდა უკეთეს ტანისამოსსა, აგრეთვე თავის ცხენს მშენებელი შეჰერ-მავრა ხოლმე. მრთა სიტყვით ქართველი მხედარი ომს ისე მო-ლოდა, როგორც ქორწილსა. 1747 წელს, როგორც წინადა კოქი, ნადირ-შაჰი დიდად გარისხდა ქართველებზე. მეუე ერეკლე ბძანებით ქართველებშა სიმაგრეები მკვიდრად გაამაგრეს და ვი-წრო ადგილები შეჰერეს. მრეკლემ დაითხოვა სპარსელები სა-ქართველოდგან, მიმავალ სპარსელ ხანებმა ერთ ალაგას დაი-ნახეს ქართველი ჯარი მეფე ერეკლეს წინამძღოლობით. ჯარი ისე მშენებელად იყო დართული, ცხენები ისე მშენებელად შე-

კაზმულნი, რომ სპარსელები ერთობ გაკვირვებულნი დარჩენენ. მრეკლემ პირეელს ხანს დააბარა: „ნადირ-შაჰს მოახსენე ჯერ პატივისცემა და მასუქან შზათ გახლავართ ქართველები—მობრძანდიო“. მრთმა ხანმა ჰკიოთხა მიზეზი ასე მშვენიერად მორთეისა,— რაღვან ამბობდა ხანი — „ომში მორთვა საჭირო არ არისო“.

მეუე ერეკლე გაჩუმდა და მისმა სარდლებმა უპასუხდეს: „აქადინ ნადირ-შაჰის დიდებისათვის და მეფობრობისათვის, ჩეენ ქართველებს. თავი არ დაგვიზოგვია; ახლა კი მოხდება ომი ჩეენი მამულის დასაცველად; უნდა დაეგანახოთ, როგორი მამულის ქორწილია ჩეენთვის; ამ სადღესასწაულო ტანისამოსით უნდა გამოეიდეთ გამარჯვებული ან არა და ჩეენი ძეირუასი ავეჯულება ჩეენთან ერთად ამოიხოცენ საქართველოდგან. . . ეს ჩეენი მორთვა — ეს აზრია“ . . .

აი სწორედ ამ მაღალის თვისებით შემკულის ჯარის წინაშილოლად გახდა მეუე ერეკლე იმ დროს, როცა იყო იყო 15 წლისა. 1752 წელს 25 ივლასსა, შესანიშვაჟ და სამაგალათო იმში მდინარე გარნიანაზე, ქალიქ ერეენის მახლობლად ქართლ-კახეთის მხედრობაშ დაამტკიცა, რომ იყო ლირისია იმისთანა მხედართ მთაერისა, როგორიც იყო მეუე ერეკლე — ეს „გმირთა შორის საკვირველება.“ მკითხველს მოვახსენებ დაწვრილებით საინტერესო ცნობებს ამ ბრძოლის შესახებ

მრეკლეს შეებრძოლა აელანელი ხანი აზატ, რომელმაც გამოაჩენილ ნადირ-შაჰის დროს სახელი გაითქეა თავის შამაცობით. როდესაც ნადირის სიკვდილის შემდეგ სპარსეთი აირივ-დაირია, აზატ-ხანმა თავისის აელანელთა ჯარის შემშეობით დაიპყრა თითქმის მთელი სპარსეთი და ადერბეივჯანი. პშის შემდეგ აზატ-ხანი საქართველოს საზღვრებზედაც გარდავიდა; მას წინ შიუძლოდა მოწინავე ჯარი, რომლის უფროსად იყო მუსახანი.

1752 წელს მკათათვის დასაწყისში ეს მუსახანი აპირობდა. ქალაქ ერევნის აღებასა. ნუ დაივიწყებთ, რომ ამ დროს ერევანში მცხოვრები საქართველოს მფარველობის ქეშ იმყოფებოდნენ; ერევანი ჩვენი მეუკების მეხარკე ქალაქად ითვლებოდა; მტრის ჯარისაგან დიდად შეწუხებულმა ერევნელებმა მიმართეს ერევკლეს და სთხოვეს შემწეობა: „ეინაიღვან მიიღებთ ხარკსა და ვართ მორჩილებასა ქეშე თქვენსა, გაქვსთ ვალი და თანამდებობა, რათა განვევათავისუფლოთ ესე ვითაჩის მძლავრის ხელისაგან.“ ქართველებმა მაშინათვე უშეველეს სიმშილისაგან გაჭირებულს მოქალაქეთა და ბევრი ხორავი და სურსათი შეიტანეს ერევანში. მალე გაიგო ეს გარემოება აზატ-ხანშა; „აღმორგდა მხეტი ცოფოვანი — ამბობს პაპუნა — და განიძრასა საქმე ბოროტი.“ ქართველთა საომრად შემოყენა 18,000 კაცი, რომელთ შორის 12,000 შუბოსანი ირიცხებოდა; ჯარს ჰქონდა 12 ზარბაზანი, მრავალი ზამბულაკი, თან მოსდევდნენ ჯორა-აქლები. შემატიანეს მოწმობით აზატ-ხანს განძრახეა ჰქონდა იდუმალ დარეოდა ქართველებსა და ისე ამოეცლიტა. მრეკლე თავის რაზმით, რომლის რიცხვი 3,000 კაცი იყო, იდგა ყარაბულალის მთაზე, საღაც აზატ-ხანი მოსვლას აპირობდა. სისწრაფით მოვიდნენ ყარაულნი და მოახსენეს მცფეს, რომ მტერი გვიახლოვდებათ. მაშინათვე ერევკლემ ამ გვარად „წესისაებრ“ განაწყო თავისი მცირელი რაზმი: მოწინავე და ქიზიყის ჯარს მიუძღვა ამირ სპასალარი ორბელიანი; შემდევ დამწურივდა მემარტენე და მემარჯვენე ჯარი ქართლ-კახეთისა. შუაგული დაიჭირა თვით ერევკლემ, რომელიც ამ „ჯარებს ზურგით უდგა“; სულ ბოლოს იმყოფებოდა პატარა დასი თათრების და ერევნელებისა. მევემ გასცა ბძანება, რომ პირველად საომრად მისულიყო. მოწინავე ჯარი. აგრეთვე მაემშადა საბრძოლველად

ქართლ-კახეთის მემარჯვენე და მემარცხენე ჯარი. პედანელებმა წინ წამოიწიქს და პირველად დაეცნენ მემარცხენე ჯარსა. მოუკიდათ დიდი ომი, რომელშიაც ორგნითვე ბევრი დაიბოცა. თუმცა ჯერ ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ბოლოს ვეღარ გაუძლეს აელანელებსა, რომელთაც მემარცხენე ქართველთ ჯარი გამოაქციეს. ამ გარამოების ძალით ერეკლემ-თავის მხედრობით უკან დაიხია და გამაგრდა ერთობ მაღლობ ალაგას ნასოფლარში.

აზატ-ხანის ჯარი გუნდ-გუნდად წინ წამოვიდა ქართველები-საკენ. რა დაინახა შორიდამ უძლეველი მხედრობა მტრისა, ერეკლე ჩამოხტა ცხენიდამ და საჩქაროდ მოახდინა სამშედრო თაბბირი, რომელშიაც მიიღეს მონაწილოება ყველა სარდლებშა. მოთათბირეთა მომეტებულს ნაწილსა ჰსურდა დაბრუნება, მხოლოდ მეუკე ამ აზრს წინააღმდეგა და სხვათა შორის წარმოსთქვა შემდეგი: „უშიშარნო ქართველებო! ვინა ხართ ვაჟკაცი! ეს არის წამი გულონენობისა; თავი ჩემი დამიდევია საკვდავად და მე აქე-დამ ხმალ მოუქნეველი არ გაეალ. იცოდეთ კარგად, რომ აზატ-ხანის შეუბმელი არ დაესდგები, ამაღამ რომ გავიკუთ, ხვალ გზაზედ მოგვეწევან... ამიტომ უჩამუსად სიკედილსა ნაშესი-ანი სიკედილი სჯობია; ეს ყვალამ უწყით, რომ სიკედილის შეი-ლნი ეართ და ჩევნს გვაჩსა და სახელია ორის დღის სიკო-ცხლისათვის ნუ მოვაყირნებთ“... ამ სიტყვით გატაცებულ მოსათბირეთა დამტკიცეს „ომი პარას-პიჩ მძლავრისა აზატ-ხანისა“.

შჩეკლემ გასცა ბძნება, რომ აეათშოუნი კაცნი, აგრეთვე ხუ-თასი თათარი დარჩენილიყნენ სანგალში და ~~დაით~~ კი ~~ორი~~ ათასის ჯარის კაცით შავიდა აზატ-ხანის შესაბმელად. აქამდინ ~~დას-დასად~~ დაყოფილი ქართველთ ჯარი შეატა თავის წინა-მძლოლობით. მართველები დადგნენ ერთ მაღლობ ალაგზე ...

აფერ ძლევა მოსილი მტრის ჯარებიც აშკარად გამოჩდნენ. აუქერდა გული ყოველს იქ მყოფ ქართველს; საშინელმა ქრინტელმა დაუარა მოელ სხეულში. ჯარი ჰერმობს განსაცდელსა... მისი ყურადღება არის მიქცეული ერთად-ერთ ნუგეშედ — დიდებულ მეუე ერეკლეზე. თეთ ერეკლე უოტათი ალელვებული ემხობა მიწას და ცხარის ურეძლით ეველოება ლმერთსა... ამის შემდეგ ერეკლემ პირდა-პირის თვალით, რომელშიაც იხატებოდა მხოლოდ გამარჯვების იმედი, მიმართა თავის საყვარელ ჭარსა: „ჩემო მანო და შეიღნო! თქვენ ჩემის გულისათვის იხოცებით და მე ლმერთან თქვენი დიდი მოვალე ვარ; დღეს რაც მე გითხათ, ის დამიჯვრეთ და სისხლსა თქვენსა მე ვინდობ.“ ალტაცებულმა ჯარმა ერთ-პირად დაიგრიალა: „მეფეო და ჩენო დიდებაო! სისხლი ჩენი თქვენთვის შემოგვიწირავს, ბრძანებას თქვენსა ვერჩით და თქვენნებას ალეასრულებთ“.

რა დარწმუნდა მეფე ერეკლე ოავის ჯარის ერთგულებაში და მისდამი სიყვარულში, მაშინათვე გასცა შემდეგი ბძანება: „სანამ მე ცხენზედ არ შევჯდე, თქვენც ნურაენ შესხდებით და სახამ ჩემი თოვი არ გაუარცეს, უკუნ-თოვს-ნურაუნ ესჭრით. რაის შემდეგ ერეკლემ დაიჩიქა და ქრისტეს ჯეარსა მხურვალედ თაყვანი სცა და აგრეთვე ყველანი მხედარნი ათაყვანა. გაუძლეა წინ მეფე ერეკლე ორი ათას დაქევითებულ ცხენილაშ მხედარს. ბევრი ღროვა არ გასულა, რომ აზატ-ხანის ჯარმა ქართველებს ალყა შემოარტყა და ისე დაუახლოედა, რომ მათ შორის შებიძლიეს გამართებოდა. დაქევითებული ქართველთ ცხენოსანი ჯარი, გარეგანის შეხედეთ, საბრალო სურაას წარმოადგენდა; მტერს დიდი ნუგეში მიეცა, იგი აპირობდა უბრძოლოდ ერთობ უცხლად. შეეპყრო ერეკლეს მხედრობა... . სულ

სხეა ნაირი შინაგანი ზნეობრიერი მდგომარეობაა ქართველებისა! ორი ათასი მხედარი, შემოზღუდული ოთხის მხრით 18,000 ჯარის უარით, განსკუალულია მხოლოდ ერთის წალილით. ჩვენი ჯარი დიდის მოწიწებით შესცემის თავის წინამძღოლს მეფე ერეკლეს და აღშეაოთებული ელოდება იმ წამს, როცა პირველად თვით მეფის თოვე დაიკექავს... აი ის სანატრელი დროც. მრომა ავღანელმა ხანმა მოახსენა აზატა: „ნება მომეცი მეფე ერეკლე ცოცხლად შეპყრობილი მოგაროვა“. ნების მიღების უმაღლ ეს ხანი სისწავით მიიჭრა ცხენით ქართველებთან და მაღლა ხმით შეპყვირა: „ჰამამან ჰანიერ ერეკლე ხან?“ (სად არის ერეკლე მეფეო). ზაქტა მკვირცხლად და შესქახა: „მე განლაუარ ერეკლე ხანიო!“ — უცემ იჭექ მისმა თოვმა; ცხარე ტყვია მოხვდა მტერს გულში და საბრალო ცხენიდამ გადმოგარდა. ამავე წამს ერთბაშად დაიგრიალა ორი ათასმა თოვმა. მაღლა კლდოვან მთებმა განიმეორეს ეს საშინელი სიკედილის მამასწავებელი გრიალი. მრი ათასი კაცი მტრისა იქვე მიწაზედ გაშალა; აზატ-ხანის მხედრობას თავ-ზარი დაეცა; შიშისაგან ყველამ კანკალ-ცახცახი დაიწყო; ორი ათასი დაჭრილ-მკვდარი მხედარი საშინელებას წარმოადგენდა მტრისათვის; თეით აზატ-ხანის სარდლებსაც ამ განსაცდელში სრულად გონება დაებნათ; არსაიდამ შეეღა, არსაიდამ ნუგეში! მტრის 12 ზარბაზანი და მრავალი ზამბულაკი ვერ მოქმედობდნენ, რადგან ალყის გარედ დარჩნენ: ასე რომ, თუ ეინიცაბაა გაესროლათ — ზარბაზნის ყუშბარა პირველად საკუთარს ჯარს მოხვდებოდა. ამ გვარ ყოველად უნუგეშო და უიმედო დრომ მტერს ყველაზერი დაავიწყა... სწორედ ამ წამს, გამარჯვების მედით სავსე, ერეკლე სისწავით პირველი აფრინდება თავის შერანს და ხმა მაღლა ჯარს უბრძანებს, რომ მტერს ხმალ-და-ხმალ დარეოდნენ.

მართველები მეურის ბანებით საჩქაროდ სხდებიან ცხენებზედ და შეუბრალებლად ქლლეტენ მტერს .. გაიქცა ეს უზარ-მაზარი ჯარი; სიღიღისაგან, თანამედროვე კაცის მოწმობით, იგი ძლიერი იძროდა. მართლ - კაცელუმი ჰუკეს სმარ-და-ხმალ დაბ-ნეულნი სპარსელნი; თვით მეფე ერეკლე იბრძოდა, ვით ლომი დაუშრომელი. ამ ბრძოლაში ერეკლემ ხელოვნურად აწარმოვა ცხენოსანი ჯარის ძალა: დიდებულმა მეფემ კარგად იცოდა, რომ უმთავრესი ძალა ცხენოსან ჯარისა მდგომარეობს მოძრაობის სისწრაფუში. ამიტომ გამარჯვება შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, როცა ეს ჯარი უცებ დაეცემოდა მტერსა და ხანჯალ-ხლმით იომებდა. შედევი ერეკლეს განკარგულებისა ჩვენ უკვე ვიცით . . .

მართველებმა სდიეს მტერს ორმოცი ვერსის მანძილზედ. ბრძოლის აღაგზე ქართველებს დარჩათ მთელი მტრის ბანაკი; ამასთანავე თოვხანა, ჯაბახანა, ზამბულაკები, 12 ზარბაზანი, ჯორ-აქლემნი, ბარგ-კარავნი, მეითარხანა. მტერს ცხენის მეტი არა გაჰყოლია რა.

მართველებმა ბევრი ~~უფლ~~-ქარგალიტიც შეიძინეს ამ დროს; ძეირ-ფასს ქვებში ერეკლეს ერგო აზატ-ხანის მარგალიტიც; ეს ის მარგალიტია, რომელსაც სპარსეთის შაჰი აღა-მამადხანი 1795 წელს ერეკლეს სთხოედა შესარიგებლად.

ამგეარი ისტორიული გამარჯვება ადვილად გასაგებია მისთვის, ეისაც კარგად აქვს შეგნებული მეფე ერეკლეს სამხედრო თვე-სებანი; 18,000 კაცის დამარცხება ორი ათასის შედრითა შესა-ძლებელია მხოლოდ იშისთანა სარდლის შემწეობით და თანა-დასწრებით, როგორიც იყო შეფე ერეკლე. ამ ბრძოლაში ქარ-თველ ჯარის სიმამაცესთან ერთად მოქმედებდნენ ერეკლეს

947.922

223

— 46 —

თავ-განწირულება, მისი აღტაცება, მისი მოსაზრების და შოძრა-
ობის სისწრაფე. საქართველოს მეფე ერეკლე მეორის დიდ-
ბუნებოვანობა და დიდ-სულოვნობა, როგორც სარდლისა, ცხა-
დად გამოიხატა ამ დაუვიწყარ გარნიჩის ომში; ეს ბრძოლა
ანუ 25 ივლის 1752 წ., როგორათაც ასპინძის ომი, არის ერთი
უკეთესთავანი ფურცელი საქართველოს სამხედრო ისტორიისა ..

აღ. გარსევანაშვალი.